

დოკუმენტალური ოპერაციების წარმოების სტანდარტული პროცესები

1. **დეფინიციები**
 თუ ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით) ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ან მისი/მათი კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს ხელშეკრულებაში (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ში) ან/და მასთან დაკავშირებულ სხვა ხელშეკრულებაში შემდეგ ტერმინებსა და გამოთქმებს ექნებათ შემდეგი მნიშვნელობები:
 - 1.1. ავიზირებადი ბანკი – საბანკო გარანტიის ხელშეკრულებაში, აკრედიტივის ხელშეკრულებაში ან/და stand-by აკრედიტივის ხელშეკრულებაში მითითებული ბენეფიციარის მომსახურე ან/და ბენეფიციარის ქვეყანაში მდებარე საბანკო დაწესებულება, რომელიც ბანკისაგან საგარანტიო ფურცლის, აკრედიტივის დავალების ან/და stand-by აკრედიტივის დავალების მიღების შემთხვევაში ახორციელებს მისი ავთენტურობის დადგენას და უზრუნველყოფს საბანკო გარანტიის, აკრედიტივის ან/და stand-by აკრედიტივის გახსნის შესახებ ინფორმაციის ბენეფიციარისათვის მიწოდებას (Advising Bank).
 - 1.2. აკრედიტივი – ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით) და აკრედიტივის ხელშეკრულებით დადგენილი წესისა და პროცესების შესაბამისად განსაზღვრული ბანკის ვალდებულება, რათა ამ უკანასკნელმა რემიტენტის მიერ აკრედიტივის დოკუმენტის წარდგენის და პროცესების შესრულების სანაცვლოდ განახორციელოს აკრედიტივის გადახდა ან/და დაავალოს სხვა საბანკო დაწესებულებას აკრედიტივის გადახდის ან/და ნეგოციაციის განხორციელება, რის სანაცვლოდაც კლიენტი იღებს ვალდებულებას:
 - ა) გადაუხადოს ბანკს ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით) და აკრედიტივის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საზღაური და სხვა გადასახდელი; ბ) რეგრესის წესით აუნაზღაუროს ბანკს აკრედიტივის თანხა, რომელიც აუნაზღაურდა რემიტენტს აკრედიტივის საფუძველზე.
 - 1.3. აკრედიტივის გადახდა – ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით) და აკრედიტივის ხელშეკრულებით დადგენილი წესისა და პროცესების შესაბამისად ბანკის მიერ: ა) რემიტენტისათვის აკრედიტივის თანხის პირდაპირ გადახდა; ბ) რემიტენტისათვის აკრედიტივის თანხის გადავადებული გადახდა ან გ) გადმოპირებული თამასუქის აქცეპტირება.
 - 1.4. აკრედიტივის დავალება – რემიტენტისათვის გაგზავნილი შეტყობინება, რომელშიც აღწერილია კლიენტისაგან მიღებული მითითებები რისი შესრულების სანაცვლოდაც კლიენტს წარმოეშობა გადახდის ვალდებულება.
 - 1.5. აკრედიტივის დოკუმენტი – კლიენტის მიერ განსაზღვრული დოკუმენტ(ებ)ი, რომელთა მიღება/გადაცემა მხარეთა შორის მოხდება აკრედიტივის ხელშეკრულების დანართი N2-ის (შემდგომში – მიღება-ჩაბარების აქტი) შესაბამისად.
 - 1.6. აკრედიტივის თანხა – აკრედიტივის ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხა, რომელსაც ბანკი რემიტენტს გადაუხდის ხელშეკრულების (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ის) ან/და აკრედიტივის ხელშეკრულების საფუძველზე და მისი პროცესების შესაბამისად.
 - 1.7. აკრედიტივის მომსახურე ანგარიში – ბანკში არსებული მიზნობრივი ანგარიში, რომელიც ბანკის მიერ გამოიყენება კლიენტის აკრედიტივთან დაკავშირებული საბანკო ოპერაციების წარმოებისთვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
 - 1.8. აკრედიტივის ხელშეკრულება – დოკუმენტალური ოპერაციების წარმოების სტანდარტული პროცესების 2.2.1.1. ქვეპუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულება.
 - 1.9. ამნაზღაურებელი ბანკი – საბანკო დაწესებულება, რომელიც დასახელებული ბანკის მოთხოვნის და ემიტენტი ბანკის ნებართვის საფუძველზე (ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში) აუნაზღაურებს დასახელებულ ბანკს აკრედიტივის თანხას (Reimbursing Bank).
 - 1.10. ბენეფიციარი – პირი, რომლის/რომელთა სასარგებლოდაც გაიცემა საბანკო გარანტია, აკრედიტივი ან/და Stand-by აკრედიტივი.
 - 1.11. განაცხადი – ბანკის მიერ დადგენილი ფორმით, კლიენტის მიმართვა ბანკისადმი, რომ ამ უკანასკნელმა განაცხადშივე განსაზღვრული პროცესების შესაბამისად, დაამტკიცოს დოკუმენტალური ოპერაციებით (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად საბანკო გარანტიით, აკრედიტივით, stand-by აკრედიტივით ან/და დოკუმენტალური ინკასოთი) მომსახურება. განაცხადი წარმოადგენს შესაბამისი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიხილება მასთან ერთად. ამასთან განაცხადით განსაზღვრულ პროცესებსა და ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის

- ხელშეკრულების დანართი N4-ით) ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს შორის წინააღმდეგობისას უპირატესობა ენიჭება ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით) ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს.
- 1.12. დამადასტურებელი ბანკი - აკრედიტივის ხელშეკრულებაში/ Stand-by აკრედიტივის ხელშეკრულებაში მითითებული საბანკო დაწესებულება, რომელიც ბანკის ნებართვის ან/და თხოვნის საფუძველზე იღებს დამოუკიდებელ გამოუხმობად ვალდებულებას მოახდინოს აკრედიტივის/Stand-by აკრედიტივის გადახდა ან/და განახორციელოს ნეგოციაცია (Confirming Bank).
- 1.13. დასახელებული ბანკი - აკრედიტივის ხელშეკრულებაში/Stand-by აკრედიტივის ხელშეკრულებაში მითითებული საბანკო დაწესებულება, რომელშიც აკრედიტივი/Stand-by აკრედიტივი ხელმისაწვდომია (Nominated Bank).
- 1.14. დოკუმენტალური ოპერაციები - საბანკო გარანტია, აკრედიტივი, stand-by აკრედიტივი, დოკუმენტალური ინკასო ან/და სხვა დოკუმენტალური ოპერაციები, რომელსაც ბანკი სთავაზობს/შესთავაზებს კლიენტს მასთან გაფორმებული ხელშეკრულების (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ის) ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
- 1.15. დოკუმენტალური ოპერაციების წარმოება - ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით) გათვალისწინებული დოკუმენტალური ოპერაციების ჯამური მოცულობის მაქსიმალური ლიმიტი, რომლის ფარგლებშიც კლიენტი ერთჯერადად ან პერიოდულად ისარგებლებს ამ დოკუმენტალური ოპერაციებით, ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით) გათვალისწინებული პირობებით და ვადებში.
- 1.16. დოკუმენტალური ოპერაციების წარმოების სტანდარტული პირობები - წინამდებარე პირობები, მასში შეტანილი დამატებებისა და ცვლილებების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ჩათვლით.
- 1.17. ინკასო - ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით) და ინკასოს ხელშეკრულებით დადგენილი წესისა და პირობების შესაბამისად განსაზღვრული ბანკის ვალდებულება, რათა ამ უკანასკნელმა უშუალოდ ან/და ინკასოს რემიტენტი ბანკის საშუალებით უზრუნველყოს: ა) მიმღებისათვის საინკასო დავალების მიწოდება, ბ) მიმღების მიერ გადახდის ან/და სხვა პირობების შესრულების სანაცვლოდ კომერციული დოკუმენტის მიმღებისათვის გაცემა და გ) მიმღებისაგან მოწოდებული ინკასოს თანხის ან/და დოკუმენტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) კლიენტისათვის გადაცემა. რის სანაცვლოდაც კლიენტი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს ბანკს ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით) ან/და ინკასოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საზღაური და სხვა გადასახდელები.
- 1.18. ინკასოს გადახდა - ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით) და ინკასოს ხელშეკრულებით დადგენილი წესისა და პირობების შესაბამისად ბანკის მიერ: ა) მიმღების მიერ გადახდის ან/და სხვა პირობების შესრულების სანაცვლოდ კომერციული დოკუმენტის მიმღებისათვის გაცემა და ბ) მიმღებისაგან მოწოდებული ინკასოს თანხის ან/და დოკუმენტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) კლიენტისათვის გადაცემა.
- 1.19. ინკასოს დოკუმენტი - მხარეთა შორის შედგენილი ინკასოს ხელშეკრულების დანართი N2-ის (შემდგომში - მიღება-ჩაბარების აქტი) საფუძველზე მიღებული/გადაცემული:
- 1.19.1. ფინანსური დოკუმენტი - თამასუქ(ებ)ი, ჩეკ(ებ)ი ან სხვა მსგავსი ფასიანი ქაღალდ(ებ)ი;
- 1.19.2. კომერციული დოკუმენტი - ანგარიშ-ფაქტურა(ებ)ი, სატრანსპორტო დოკუმენტ(ებ)ი, საქონლის თანმხლები დოკუმენტ(ებ)ი და სხვა მსგავსი საბუთ(ებ)ი, რომელიც არ წარმოადგენს ფინანსურ დოკუმენტს.
- 1.20. ინკასოს თანხა - ინკასოს ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხა და მასთან დაკავშირებული გადასახდელები (საპროცენტო სარგებელი), რომელსაც მიმღები ინკასოს დოკუმენტის სანაცვლოდ გადაუხდის ბანკს ან ინკასოს რემიტენტ ბანკს.
- 1.21. ინკასოს რემიტენტი ბანკი - საინკასო ბანკი ან/და წარმდგენი ბანკი.
- 1.22. ინკასოს ხელშეკრულება - დოკუმენტალური ოპერაციების წარმოების სტანდარტული პირობების 2.4.1.1. ქვეპუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულება.
- 1.23. მიმღები - პირი, რომელსაც/რომელთაც უნდა წარედგინოს ინკასოს დოკუმენტი.
- 1.24. ნეგოციაცია - დასახელებული ბანკის მიერ თამასუქის შესყიდვა (რომელიც გამოწერილია ნებისმიერ საბანკო დაწესებულებაზე, დასახელებული ბანკის გარდა) ან/და აკრედიტივით განსაზღვრული პირობების დაცვით წარდგენილი აკრედიტივის დოკუმენტის შესყიდვა ფულადი სახსრების ავანსირების ან ბენეფიციართან ავანსირებაზე

- შეთანხმების საშუალებით, იმ საბანკო დღეს ან წინა დღეს, როდესაც უნდა განხორციელდეს ანაზღაურება დასახელებული ბანკისათვის.
- 1.25. რემიტენტი – ბენეფიციარი, ავიზირებადი ბანკი, დამადასტურებელი ბანკი ან/და დასახელებული ბანკი.
- 1.26. საბანკო გარანტია – ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით) და საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით დადგენილი წესისა და პირობების შესაბამისად განსაზღვრული ბანკის ვალდებულება, რათა ამ უკანასკნელმა უზრუნველყოს კლიენტის მიერ ბენეფიციარის წინაშე ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შესრულება, რის სანაცვლოდაც კლიენტი იღებს ვალდებულებას: ა) გადაუხადოს ბანკს ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით) და საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საზღაური და სხვა გადასახდელები; ბ) რეგრესის წესით აუნაზღაუროს ბანკს ის თანხა, რომელიც აუნაზღაურდა ბენეფიციარს საბანკო გარანტიით, მათ შორის ის თანხა რომელიც აუნაზღაურდა ბენეფიციარს საბანკო გარანტიის პირობების საწინააღმდეგოდ ან ბენეფიციარის მიმართ ბანკის ვალდებულების დარღვევის გამო.
- 1.27. საბანკო გარანტიის მომსახურე ანგარიში – ბანკში არსებული მიზნობრივი ანგარიში, რომელიც ბანკის მიერ გამოიყენება კლიენტის საბანკო გარანტიასთან დაკავშირებული საბანკო ოპერაციების წარმოებისთვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- 1.28. საბანკო გარანტიის ხელშეკრულება – დოკუმენტალური ოპერაციების წარმოების სტანდარტული პირობების 2.1.1.1. ქვეპუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულება.
- 1.29. საბოლოო ბენეფიციარი – პირი, რომლის/რომელთა სასარგებლოდაც საბანკო გარანტია გაიცემა ბენეფიციარის მიერ, ბანკის მხრიდან ბენეფიციარის სასარგებლოდ გაცემული საბანკო გარანტიის საფუძველზე და პირობების შესაბამისად.
- 1.30. საგარანტიო თანხა – საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხა, რომელსაც ბანკი ბენეფიციარს გადაუხდის ხელშეკრულების (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ის) და საბანკო გარანტიის ხელშეკრულების საფუძველზე და მისი პირობების შესაბამისად.
- 1.31. საგარანტიო ფურცელი – საბანკო გარანტიის ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული დოკუმენტი, რომელშიც განისაზღვრება საბანკო გარანტიის პირობები ბენეფიციარისათვის. ამასთან, ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად კლიენტთან შეთანხმების გარეშე დააკორექტიროს საგარანტიო ფურცლის ტექსტი, თუ აღნიშნული არ ცვლის საბანკო გარანტიის ძირითად პირობებს. საგარანტიო ფურცელში ტერმინი – კლიენტი შეიძლება ჩანაცვლებული იქნას ტერმინით – პრინციპალი ან სხვა ტერმინით.
- 1.32. საინკასო ბანკი – საბანკო დაწესებულება, რომელსაც ბანკის მიერ გაეგზავნება საინკასო დავალება და რომლის მეშვეობითაც განხორციელდება ინკასაცია ან/და წარმდგენი ბანკის დასახელება, იმ შემთხვევაში თუ დასახელებული არ არის წარმდგენი ბანკი (Collecting Bank).
- 1.33. საინკასო დავალება – მიმღებისათვის გაგზავნილი შეტყობინება, რომელშიც აღწერილია კლიენტისაგან მიღებული მითითებები რისი შესრულების სანაცვლოდაც მიმღებს გადაეცემა კომერციული დოკუმენტები.
- 1.34. საქონელი – მატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით არ არის ამოღებული ბრუნვიდან.
- 1.35. Stand-by აკრედიტივი – ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით) და Stand-by აკრედიტივის ხელშეკრულებით დადგენილი წესისა და პირობების შესაბამისად განსაზღვრული ბანკის ვალდებულება, რათა ამ უკანასკნელმა უზრუნველყოს კლიენტის მიერ ბენეფიციარის წინაშე ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შესრულება, რის სანაცვლოდაც კლიენტი იღებს ვალდებულებას: ა) გადაუხადოს ბანკს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საზღაური და სხვა გადასახდელები; ბ) რეგრესის წესით აუნაზღაუროს ბანკს ის თანხა, რომელიც აუნაზღაურდა ბენეფიციარს Stand-by აკრედიტივით მათ შორის ის თანხა რომელიც აუნაზღაურდა ბენეფიციარს Stand-by აკრედიტივის პირობების საწინააღმდეგოდ ან ბენეფიციარის მიმართ ბანკის ვალდებულების დარღვევის გამო.
- 1.36. Stand-by აკრედიტივის გადახდა – ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით) და Stand-by აკრედიტივის ხელშეკრულებით დადგენილი წესისა და პირობების შესაბამისად ბანკის მიერ: ა) რემიტენტისათვის stand-by აკრედიტივის თანხის პირდაპირ გადახდა; ბ) რემიტენტისათვის stand-by აკრედიტივის თანხის გადავადებული გადახდა.
- 1.37. Stand-by აკრედიტივის დავალება – რემიტენტისათვის გაგზავნილი შეტყობინება, რომელშიც აღწერილია კლიენტისაგან მიღებული მითითებები რისი შესრულების სანაცვლოდაც კლიენტს წარმოეშობა გადახდის ვალდებულება.
- 1.38. Stand-by აკრედიტივის თანხა – stand-by აკრედიტივის ხელშეკრულებით განსაზღვრული

- თანხა, რომელსაც ბანკი რემიტენტს გადაუხდის ხელშეკრულების (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ის) და Stand-by აკრედიტივის ხელშეკრულების საფუძველზე და მისი პირობების შესაბამისად.
- 1.39. **Stand-by აკრედიტივის მომსახურე ანგარიში** – ბანკში არსებული მიზნობრივი ანგარიში, რომელიც ბანკის მიერ გამოიყენება კლიენტის Stand-by აკრედიტით დაკავშირებული საბანკო ოპერაციების წარმოებისთვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- 1.40. **Stand-by აკრედიტივის ხელშეკრულება** – დოკუმენტალური ოპერაციების წარმოების სტანდარტული პირობების 2.3.1.1. ქვეპუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულება.
- 1.41. **ტოლერანსი** - აკრედიტივის თანხის და Stand-by აკრედიტივის თანხის სავარაუდო ნამეტი/შემცირება, რომლის ფარგლებშიც შესაძლოა შესაბამისად გაიზარდოს/შემცირდეს აკრედიტივის/Stand-by აკრედიტივის თანხა წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე.
- 1.42. **ფორს-მაჟორი** – სტიქიური კატასტროფა, ხანძარი, საომარი მოქმედება, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან/და ბანკისათვის გადაუღალბავი და მისი კონტროლისაგან დამოუკიდებელი სხვა გარემოებები, რომლებიც: ა) არ არის დაკავშირებული ბანკის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, ბ) დაიწყო ან განვითარდა აკრედიტივის ხელშეკრულების, Stand-by აკრედიტივის ხელშეკრულების, ინკასოს ხელშეკრულების ან საბანკო გარანტიის ძალაში შესვლის შემდეგ და გ) პირდაპირ და უშუალო ზეგავლენას ახდენს შესაბამისი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად ან/და ჯეროვნად შესრულებაზე.
- 1.43. **წარმდგენი ბანკი** – ბანკის ან საინკასო ბანკის მიერ დასახელებული საბანკო დაწესებულება, რომელიც წარუდგენს საინკასო დავალებას მიმღებს ან/და უზრუნველყოფს ინკასოს დოკუმენტის სანაცვლოდ ინკასოს გადახდის ან/და სხვა პირობების შესრულებას (Presenting Bank).
- 1.44. **ICC-ს უნიფიცირებული წესები** – საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ დადგენილი უნიფიცირებული წესები: ა) მოთხოვნამდე გარანტიებისათვის (URDG 758 2010 წლის რედაქცია ან საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით/საგარანტიო ფურცლით განსაზღვრული სხვა რედაქცია); ბ) აკრედიტივებისათვის (UCP 600, 2007 წლის რედაქცია ან აკრედიტივის ხელშეკრულებით/აკრედიტივის დავალებით განსაზღვრული სხვა რედაქცია), გ) stand-by აკრედიტივებისათვის (ISP 98, 1998 წლის რედაქცია ან Stand-by აკრედიტივის ხელშეკრულებით/ Stand-by აკრედიტივის დავალებით განსაზღვრული სხვა რედაქცია) და დ) ინკასოსათვის (URC 522, 1995 წლის რედაქცია ინკასოს ხელშეკრულებით/ინკასოს დავალებით), მათში შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების ჩათვლით.
- 1.45. **SWIFT** - საერთაშორისო ბანკთაშორისი საკომუნიკაციო სისტემა (ქსელი), რომლის საშუალებითაც კომერციული ბანკები უზრუნველყოფენ ინფორმაციის გაცვლას განხორციელებული/განსახორციელებელი ფინანსური ოპერაციების თაობაზე.
2. **დოკუმენტალური ოპერაციებით სარგებლობის პირობები, პროცედურები და წესი**
ხელშეკრულების (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ის) დადება/ხელმოწერა არ გულისხმობს ბანკის მიერ კლიენტისათვის ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით) გათვალისწინებული რომელიმე დოკუმენტალური ოპერაციით სარგებლობის უფლების მინიჭებას. კლიენტისათვის ამგვარი უფლებამოსილების მინიჭების საკითხს ბანკი განიხილავს კლიენტის მიმართ (ებ)ის საფუძველზე ბანკში იმ მომენტისათვის არსებული პროცედურებისა და წესების დაცვით.
- 2.1. **საბანკო გარანტია**
 2.1.1. **საგარანტიო ფურცლის** გაცემის წესი
 2.1.1.1. **განაცხადის წარდგენის** საფუძველზე ბანკის უფლებამოსილი ორგანოს მიერ საბანკო გარანტიის დამტკიცების საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში ბანკი და კლიენტი გააფორმებენ დამატებით ხელშეკრულებას („საბანკო გარანტიის ხელშეკრულება“), რომლითაც განისაზღვრება საბანკო გარანტიით სარგებლობის კონკრეტული პირობები.
 2.1.1.2. **საბანკო გარანტიით** სარგებლობა მოხდება ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით) ან/და საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში (ვადებში), იმ პირობით, რომ დაკმაყოფილებული იქნება ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით) ან/და საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა ბანკისათვის მისაღები ფორმით.
 2.1.1.3. **ბანკი** უფლებამოსილია ცალმხრივად განუცხადოს უარი კლიენტს საბანკო გარანტიით სარგებლობაზე ან/და საგარანტიო ფურცლის გაცემაზე ან/და ისარგებლოს ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით), მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით (მათ

- შორის საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით) ან/და ბანკთან გაფორმებული სხვა ნებისმიერი ხელშეკრულებ(ებ)ით გათვალისწინებული სხვა უფლებებით თუ 1 (ერთი) კალენდარული წლის განმავლობაში ან ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით) ან/და საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში და პრობებით კლიენტის მიერ არ იქნა მოთხოვნილი საგარანტიო ფურცლის გაცემა ან თუ კლიენტის მიერ მოხდა ხელშეკრულების (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ის), მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების (მათ შორის საბანკო გარანტიის ხელშეკრულების) ან/და ბანკთან გაფორმებული სხვა ნებისმიერი ხელშეკრულებ(ებ)ის პრობების დარღვევა.
- 2.1.2. საპროცენტო სარგებელი, საკომისიო და მათი დაანგარიშებისა და დარიცხვის წესი
- 2.1.2.1. საპროცენტო სარგებლის ოდენობა და საკომისიოს მინიმალური და მაქსიმალური ოდენობა (ან/და ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა ოდენობა/ფორმა) განისაზღვრება ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით), ხოლო კონკრეტულ საბანკო გარანტიაზე საპროცენტო სარგებლის და საკომისიოს ოდენობის ასახვა მოხდება შესაბამის საბანკო გარანტიის ხელშეკრულებაში.
- 2.1.2.2. საპროცენტო სარგებელი იანგარიშება ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით) ან/და საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით განსაზღვრული საგარანტიო თანხის გადახდის თარიღის შემდგომი ფაქტიური დღეების შესაბამისად, წელიწადში 365 (სამას სამოცდახუთი) დღეზე გაანგარიშებით.
- 2.1.2.3. საკომისიოს ოდენობა იანგარიშება ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით) ან/და საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფორმითა და პერიოდულობით. მათ შორის, თუ გათვალისწინებულია წლიური საკომისიო, მაშინ მისი დაანგარიშება მოხდება საპროცენტო სარგებლის დაანგარიშებისათვის გათვალისწინებული წესით, ხოლო სხვა შემთხვევაში, ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით) ან/და საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა წესით.
- 2.1.2.4. თუ ბანკი სხვაგვარ გადაწყვეტილებას არ მიიღებს, საპროცენტო სარგებლის (როგორც მიუღებელი სარგებლის) დარიცხვა გრძელდება და გადახდას ექვემდებარება გადახდილი საგარანტიო თანხის დაფარვის ვადაგადაცილების შემთხვევაშიც, მიუხედავად ხელშეკრულების (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ის) ან/და საბანკო გარანტიის ხელშეკრულების მოქმედებისა ან სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტისა, გადახდილი საგარანტიო თანხის იძულებითი ან კლიენტის მიერ ნებაყოფლობითი დაფარვის მომენტამდე.
- 2.1.3. პირგასამტეხლო (ჯარიმა) საბანკო გარანტიით სარგებლობის პრობების დარღვევისათვის და მისი დარიცხვის წესი
- 2.1.3.1. პირგასამტეხლოს ოდენობა საბანკო გარანტიით სარგებლობის პრობების დარღვევისათვის განისაზღვრება ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით) ან/და საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით.
- 2.1.3.2. თუ ბანკი სხვაგვარ გადაწყვეტილებას არ მიიღებს, კლიენტი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო შემდეგ შემთხვევებში:
- 2.1.3.2.1. რომელიმე საკომისიოს დადგენილი ოდენობით და ვადებში გადაუხდელობისათვის;
- 2.1.3.2.2. გადახდილი საგარანტიო თანხის ან/და მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით) ან/და საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით დადგენილი ოდენობით და ვადებში გადაუხდელობისათვის;
- 2.1.3.2.3. ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით) ან/და საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით დადგენილ სხვა შემთხვევებში.
- 2.1.3.3. თუ ბანკი სხვაგვარ გადაწყვეტილებას არ მიიღებს, პირგასამტეხლოს დარიცხვა გრძელდება და გადახდას ექვემდებარება მიუხედავად ხელშეკრულების (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ის) ან/და საბანკო გარანტიის ხელშეკრულების დანართი N4-ით) ან/და საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით გათვალისწინებული დავალიანების იძულებითი ან კლიენტის მიერ ნებაყოფლობითი დაფარვის მომენტამდე.
- 2.1.3.4. ხელშეკრულებაზე (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ზე) ან/და საბანკო გარანტიის ხელშეკრულების დადებით/ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს/დაადასტურებს, რომ ის აცნობიერებს და ეთანხმება ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით) ან/და საბანკო

- გარანტიის ხელშეკრულებით დადგენილი პირგასამატებლოს არსებობას და მის ოდენობას და რომ ის არ არის შეუსაბამოდ მაღალი პირგასამატებლო.
- 2.1.3.5. პირგასამატებლოს გადახდა არ ათავისუფლებს კლიენტს ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით) ან/და საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების (გადასახდელების) შესრულებისაგან (გადახდისაგან).
- 2.1.4. საგარანტიო თანხის, საპროცენტო სარგებლის, საკომისიოს, პირგასამატებლოს (ჯარიმის) და სხვა გადასახდელების გადახდის წესი
- 2.1.4.1. კლიენტი ცალსახად და გამოუთხოვად აცხადებს თანხმობას საგარანტიო თანხის, საპროცენტო სარგებლის, საკომისიოს, პირგასამატებლოს და სხვა გადასახდელების გადახდის შემდეგ თანმიმდევრობაზე: პირველ რიგში იფარება პირგასამატებლო (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შემდეგ საკომისიო (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შემდეგ დარიცხული საპროცენტო სარგებელი, შემდეგ გადახდილი საგარანტიო თანხა და ბოლოს სხვა გადასახდელები. აღნიშნული რიგითობა შეიძლება შეიცვალოს ბანკის შეხედულებით.
- 2.1.4.2. საგარანტიო თანხის, საპროცენტო სარგებლის, საკომისიოს ან/და პირგასამატებლოს დაანგარიშება და გადახდა უნდა მოხდეს ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით) და საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით დადგენილი წესით და მის შესაბამისად. ბანკის მიერ კლიენტზე შესაძლოა გაიცეს გრაფიკი, რომელიც წარმოადგენს საინფორმაციო ხასიათის დოკუმენტს, რომლის შესაბამისადაც კლიენტი მოახდენს გადახდილი საგარანტიო თანხის ანაზღაურებას, საპროცენტო სარგებლის ან/და საკომისიოს გადახდას. კლიენტის მიერ ბანკის მიმართ წარდგენილი ზეპირი ან წერილობითი განცხადების საფუძველზე მხარეთა შეთანხმებით გადახდილი საგარანტიო თანხა, საპროცენტო სარგებელი ან/და საკომისიო შეიძლება წინსწრებით დაიფაროს გრაფიკით გათვალისწინებულ ვადებზე ადრეც.
- 2.1.4.3. საგარანტიო თანხის, საპროცენტო სარგებლის, საკომისიოს და პირგასამატებლოს გადახდა უნდა განხორციელდეს იმავე ვალუტაში რა ვალუტაშიც დამტკიცებულია საბანკო გარანტია, ხოლო აღნიშნული მიზნით თანხის კონვერტაციის აუცილებლობის შემთხვევაში კონვერტაცია უნდა განხორციელდეს კლიენტის ხარჯზე კონვერტაციის თარიღისათვის ბანკში დაწესებული კომერციული კურსით ან კლიენტთან შეთანხმებული კურსით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- 2.1.4.4. კლიენტის მიერ გადახდილი ნებისმიერი თანხა ჩაითვლება ჯეროვნად შესრულებულ ვალდებულებად, თუ ისინი გადახდილია ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით) ან/და საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით დადგენილ თარიღში, ხოლო თუ ეს თარიღი ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, მაშინ გადახდა უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს მომდევნო საბანკო დღისა. ამასთან, თუ ამგვარი მომდევნო საბანკო დღე არის (ემთხვევა) საანგარიშო თვის მომდევნო თვეში, მაშინ გადახდა უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდის თარიღის წინა საბანკო დღეს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, კლიენტი არ იხდის პირგასამატებლოს გადასახდელის ვადამდე გადახდისათვის.
- 2.1.4.5. კლიენტი ასევე ადასტურებს და აცხადებს თანხმობას ბანკის სრულ უფლებამოსილებაზე, კლიენტის მიერ (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით) ან/და საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად ან/და ამგვარი ვალდებულების სრულად ან ჯეროვნად შესრულებლობის შემთხვევაში:
- 2.1.4.5.1. კლიენტის შემდგომი დამატებითი თანხმობის ან აქცეპტის გარეშე მასთან არსებული წესების დაცვით გახსნას საბანკო გარანტიის მომსახურე ანგარიში ან/და საბანკო გარანტიის მომსახურე ანგარიშად გამოიყენოს კლიენტის ნებისმიერი სხვა არსებული ანგარიში;
- 2.1.4.5.2. კლიენტის ნებისმიერი სახის ანგარიშიდან უაქცეპტოდ ჩამოწეროს ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით) ან/და საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით გათვალისწინებული, ასევე საბოლოო ბენეფიციარის მიერ ბენეფიციარებისათვის ასანაზღაურებელი, ყველა გადასახდელი, ხოლო თუ გადასახდელი და ანგარიშზე რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, ბანკი უფლებამოსილია თავად განახორციელოს კონვერტაცია გადახდის თარიღისათვის ბანკში მოქმედი კომერციული კურსით ან კლიენტთან შეთანხმებული კურსით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ხოლო კონვერტაციის მომსახურების ღირებულება ასევე უაქცეპტოდ ჩამოწეროს კლიენტის ანგარიშიდან, კონვერტირებული თანხა კი მიმართოს შესაბამისი გადასახდელის დასაფარად;
- 2.1.4.5.3. ისარგებლოს ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით) ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით (მათ

შორის, საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით) დადგენილი სხვა უფლებებით.

- 2.1.4.6. ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით) ან/და საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით განსაზღვრული პრობების შესაბამისად, კლიენტის მიერ ბანკის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულება კლიენტის მიერ შესაძლოა უზრუნველყოფილ იქნეს ბანკისათვის ფულადი სახსრების გადაცემით ან/და საკუთარი ფულადი სახსრების განკარგვის უფლების ბანკის სასარგებლოდ შეზღუდვით (ფულადი სახსრების ბლოკირება). აღნიშნულ შემთხვევაში, ბანკს, სხვა კრედიტორებთან შედარებით, წარმოემოხა უპირატესი უფლება, კლიენტის მიმართ წარმოშობილი მოთხოვნა საგარანტიო თანხის, საპროცენტო სარგებლის, საკომისიოს, პირგასამტეხლოს და სხვა გადასახდელების ანაზღაურებაზე, პირველ რიგში, სრულად და ჯეროვნად დაიკმაყოფილოს ზემოხსენებული ფულადი სახსრებიდან.
- 2.1.5. **საბანკო გარანტიის აღსრულება და საგარანტიო თანხის გადახდა ბენეფიციარისათვის**
- 2.1.5.1. კლიენტის მიერ ბენეფიციარის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულებლობის შემთხვევაში, ბენეფიციარი უფლებამოსილია მიმართოს ბანკს და მოითხოვოს საბანკო გარანტიის აღსრულება და საგარანტიო თანხის მისთვის გადახდა;
- 2.1.5.2. ბენეფიციარის მიერ ბანკისათვის საბანკო გარანტიის აღსრულების მოთხოვნით მიმართვისას მოთხოვნა წარდგენილ უნდა იქნას საბანკო გარანტიის ხელშეკრულებაში ან/და საგარანტიო ფურცელში მითითებულ ადგილას საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით ან/და საგარანტიო ფურცელში გათვალისწინებული ფორმის და პრობების დაცვით, მათ შორის შესაძლებელია SWIFT-ის საშუალებით.
- 2.1.5.3. ბანკის მიერ საბანკო გარანტიის აღსრულების მოთხოვნის განხილვის ვადა შეადგენს 5 (ხუთი) საბანკო დღეს, იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული ვადა არ არის საკმარისი ბანკის მიერ გადაწყვეტილების მისაღებად და თუ საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით ან/და საგარანტიო ფურცლით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ბანკი უფლებამოსილია განხილვის ვადა დამატებით გააგრძელოს 20 (ოცი) საბანკო დღით, რის თაობაზეც ბანკი დაუყოვნებლივ აცნობებს ბენეფიციარს, თუ კანონმდებლობით გათვალისწინებულია საბანკო გარანტიის აღსრულების მოთხოვნის განხილვის სხვა ვადა მაშინ იმოქმედებს აღნიშნული ვადა.
- 2.1.5.4. ბანკი გონივრულ ვადაში წერილობით შეატყობინებს კლიენტს ბენეფიციარის მიერ საბანკო გარანტიის აღსრულების მოთხოვნის მიღების შესახებ და გადასცემს მოთხოვნის ასლს

და საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით ან/და საგარანტიო ფურცლით განსაზღვრული დოკუმენტაციას. კლიენტმა შეტყობინების მიღებიდან 2 (ორი) საბანკო დღის ვადაში: ა) ბანკს წერილობით უნდა დაუდასტუროს ბენეფიციარის მოთხოვნის საფუძვლიანობა და დაეთანხმოს მას ან ბ) უარყოს (სრულად ან ნაწილობრივ) ბენეფიციარის მოთხოვნა, მოიყვანოს შესაბამისი არგუმენტაცია და დაურთოს ბენეფიციარის მოთხოვნის უსაფუძვლობის დამადასტურებელი დოკუმენტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში). კლიენტის მიერ აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საკმარის საფუძველს, რათა ბანკმა დადასტურებულად ჩათვალოს ბენეფიციარის მოთხოვნაში მითითებული გარემოებები და განახორციელოს ბენეფიციარისათვის საგარანტიო თანხის გადახდა საბანკო გარანტიის ხელშეკრულებაში მითითებული ფორმით.

- 2.1.5.5. ბანკმა უარი უნდა უთხრას ბენეფიციარს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, თუ ეს მოთხოვნა ან თანდართული დოკუმენტები არ შეესაბამება საბანკო გარანტიის ხელშეკრულებაში ან/და საგარანტიო ფურცელში მითითებულ პრობებს ან/და ისინი წარედგინა ბანკს საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით ან/და საგარანტიო ფურცლით განსაზღვრული ვადის დამთავრების შემდეგ. ამასთან ბანკი პასუხს არ აგებს ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების ნამდვილობაზე (აუთენტურობაზე). ბანკმა დაუყოვნებლივ გონივრულ ვადაში, უნდა აცნობოს ბენეფიციარს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ;
- 2.1.5.6. თუ ბენეფიციარის მოთხოვნის დაკმაყოფილებამდე ბანკისათვის ცნობილი გახდა, რომ საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი ძირითადი ვალდებულება შესაბამის ნაწილში მთლიანად უკვე შესრულებულია, შეწყდა სხვა საფუძვლებით ან ბათილია, ბანკმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ამის შესახებ ბენეფიციარსა და კლიენტს. ბანკის ამ პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინების შემდეგ მიღებული ბენეფიციარის განმეორებითი მოთხოვნა შეიძლება დაექვემდებაროს ბანკის მიერ დაკმაყოფილებას კანონმდებლობის შესაბამისად.
- 2.1.5.7. ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით) ან/და საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ბანკის ვალდებულება ბენეფიციარის მიმართ შემოიფარგლება იმ საგარანტიო თანხის გადახდით, რომელზედაც გაიცა საბანკო გარანტია.
- 2.1.5.8. იმ შემთხვევაში, თუ ბანკის მიერ ბენეფიციარის მოთხოვნის საფუძველზე მოხდება

- ბენეფიციარისათვის საგარანტიო თანხის გადახდა (სრულად ან ნაწილობრივ), კლიენტს წამოეშობა რეგრესული ანაზღაურების ვალდებულება ბანკის მიმართ, ბანკის მიერ გადახდილი საგარანტიო თანხის პროპორციულად. ამასთან, კლიენტის მიერ ბანკისათვის გადასახდელ თანხას ხელშეკრულების (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ის) ან/და საბანკო გარანტიის ხელშეკრულების საფუძველზე და მისი პირობების შესაბამისად დაერიცხება საპროცენტო სარგებელი ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით) ან/და საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით დადგენილი ოდენობით.
- 2.1.5.9. საგარანტიო თანხა გადახდილ უნდა იქნას იმ ვალუტაში რა ვალუტაც მითითებულია საბანკო გარანტიაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ფორს-მაჟორული გარემოებებიდან გამომდინარე ბანკს არ შეუძლია მითითებულ ვალუტაში გადახდა ან/და როდესაც გადახდა მითითებულ ვალუტაში ეწინააღმდეგება კანონმდებლობას.
- 2.1.5.10. ბანკი უფლებამოსილია მოითხოვოს კლიენტისაგან რეგრესული ანაზღაურება ა) იმ ვალუტაში რა ვალუტაშიც ბენეფიციარისთვის გადახდილი იქნა საგარანტიო თანხა ან ბ) იმ ვალუტაში რომელი ვალუტაც მითითებულია საბანკო გარანტიაში.
- 2.1.5.11. ბანკი ასევე უფლებამოსილია მოითხოვოს კლიენტს, ხოლო კლიენტი ვალდებულია გადაუხადოს ბანკს ის თანხა, რომელიც ბანკის მიერ ა) აუნაზღაურდა ბენეფიციარს საბანკო გარანტიის პირობების საწინააღმდეგოდ ან/და ბ) აუნაზღაურდა ბენეფიციარს ბენეფიციარის მიმართ ბანკის ვალდებულების დარღვევის გამო.
- 2.1.6. საბანკო გარანტიით სარგებლობის დამატებითი პირობები
- 2.1.6.1. საბანკო გარანტიის ხელშეკრულების საფუძველზე გაიცემა საგარანტიო ფურცელი წერილობით, ან ელექტრონულად (SWIFT-ის საშუალებით), რომლის ტექსტი შეთანხმებულია კლიენტთან. საგარანტიო ფურცელში აისახება საბანკო გარანტიის პირობები (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად, საგარანტიო თანხის მოცულობა, გადახდის პირობები, მოქმედების ვადა, წარდგენის ადგილი, ფორმა და ა.შ.) და დგება 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომლის პირველი პირი რჩება ბანკს, ხოლო მეორე პირი გადაეცემა კლიენტს ბენეფიციარისათვის წარსადგენად ან კლიენტთან შეთანხმებით გადაეცემა ბენეფიციარს.
- 2.1.6.2. საბანკო გარანტიის ძალაში შესვლა დამოკიდებულია საგარანტიო ფურცლის გადაცემაზე და საბანკო გარანტია არ შეიძლება გამოთხოვილ იქნეს ბანკის მიერ, თუ საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით, კანონმდებლობით ან/და თავად საგარანტიო ფურცლით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
- 2.1.6.3. საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის კუთვნილი მოთხოვნის უფლება ბანკის მიმართ ბენეფიციარმა შეიძლება სრულად ან ნაწილობრივ გადასცეს/გადასცენ მესამე პირს (შემდგომში – ახალი ბენეფიციარი) მხოლოდ ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობისა და კლიენტის მიერ საბანკო გარანტიის გადაცემის საკომისიოს გადახდის საფუძველზე, თუ საბანკო გარანტიის ხელშეკრულება ან/და თავად საგარანტიო ფურცელი ითვალისწინებს ზემოაღნიშნულ უფლებამოსილებას.
- 2.1.6.4. ბენეფიციარის მიერ ბანკისათვის საბანკო გარანტიის აღსრულების მოთხოვნით მიმართვისთანავე ბანკი უფლებამოსილია მასთან არსებული წესების დაცვით უაქცეპტოდ დაბლოკოს კლიენტის ნებისმიერი სახის ანგარიში.
- 2.1.6.5. ბენეფიციარის წინაშე ბანკის ვალდებულების შეწყვეტისას ან საბანკო გარანტიის გამოთხოვის შემთხვევაში, საბანკო გარანტია ძალადაკარგულად ითვლება მიუხედავად იმისა დაუბრუნდა თუ არა ბანკს ბენეფიციართან ან კლიენტთან დაცული საგარანტიო ფურცლის ეგზემპლარი.
- 2.1.6.6. საბანკო გარანტიის გამოთხოვა ან საბანკო გარანტიის აღსრულებაზე უარი ძალაში შედის აღნიშნულის თაობაზე ბენეფიციარის მიერ ბანკისაგან მიღებული წერილობითი შეტყობინების მიღების თარიღის დღეს ან შესაბამის წერილობით შეტყობინებაში მითითებულ დღეს.
- 2.1.6.7. თუ საგარანტიო ფურცლით გათვალისწინებულია საბანკო გარანტიის შემცირების ან/და გაუქმების შესაძლებლობა კლიენტის მხრიდან წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე, აღნიშნული დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იქნას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ბანკის მისამართზე, კლიენტის მიერ შესაბამის წერილობით მოთხოვნასთან ერთად, სადაც მითითებული იქნება საბანკო გარანტიის ხელშეკრულების ნომერი და თარიღი, რომლის შემცირებასაც/გაუქმებასაც ითხოვს კლიენტი.
- 2.2. აკრედიტივო
- 2.2.1. აკრედიტივის დავალების გაცემის წესი
- 2.2.1.1. განაცხადის წარდგენის საფუძველზე ბანკის უფლებამოსილი ორგანოს მიერ აკრედიტივის დამტკიცების საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში ბანკი და კლიენტი გააფორმებენ დამატებით ხელშეკრულებას („აკრედიტივის ხელშეკრულება“), რომლითაც

- განისაზღვრება აკრედიტივით სარგებლობის კონკრეტული პირობები.
- 2.2.1.2. აკრედიტივით სარგებლობა მოხდება ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით) ან/და აკრედიტივის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში (ვადებში), იმ პირობით, რომ დაკმაყოფილებული იქნება ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით) ან/და აკრედიტივის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა ბანკისათვის მისაღები ფორმით.
- 2.2.1.3. ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად განაცხადოს უარი აკრედიტივით სარგებლობაზე ან/და აკრედიტივის დავალების გაცემაზე, თუ 1 (ერთი) კალენდარული წლის განმავლობაში ან ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით) ან/და აკრედიტივის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში და პირობებით კლიენტის მიერ არ იქნა მოთხოვნილი აკრედიტივის დავალების გაცემა ან თუ კლიენტის მიერ მოხდა ხელშეკრულების (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ის), მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებების (მათ შორის აკრედიტივის ხელშეკრულების) ან/და ბანკთან გაფორმებული სხვა ნებისმიერი ხელშეკრულებ(ებ)ის პირობების დარღვევა, ან/და ისარგებლოს ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით), მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით (მათ შორის აკრედიტივის ხელშეკრულების) ან/და ბანკთან გაფორმებული სხვა ნებისმიერი ხელშეკრულებ(ებ)ით გათვალისწინებული სხვა უფლებებით.
- 2.2.2. საპროცენტო სარგებელი, საკომისიო და მათი დაანგარიშებისა და დარიცხვის წესი
- 2.2.2.1. საპროცენტო სარგებლის ოდენობა და საკომისიოს მინიმალური და მაქსიმალური ოდენობა (ან/და ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით) განსაზღვრული სხვა ოდენობა/ფორმა) განისაზღვრება ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით), ხოლო კონკრეტულ აკრედიტივზე საპროცენტო სარგებლის და საკომისიოს ოდენობის ასახვა მოხდება შესაბამის აკრედიტივის ხელშეკრულებაში.
- 2.2.2.2. საპროცენტო სარგებელი იანგარიშება ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით) ან/და აკრედიტივის ხელშეკრულებით განსაზღვრული აკრედიტივის თანხის გადახდის თარიღის შემდგომი ფაქტიური დღეების შესაბამისად, წელიწადში 365 (სამას სამოცდახუთი) დღეზე გაანგარიშებით.
- 2.2.2.3. საკომისიოს ოდენობა იანგარიშება ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით) ან/და აკრედიტივის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფორმითა და პერიოდულობით. მათ შორის, თუ გათვალისწინებულია წლიური საკომისიო, მაშინ მისი დაანგარიშება მოხდება საპროცენტო სარგებლის დაანგარიშებისათვის გათვალისწინებული წესით, ხოლო სხვა შემთხვევაში, ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით) ან/და აკრედიტივის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა წესით.
- 2.2.2.4. თუ ბანკი სხვაგვარ გადაწყვეტილებას არ მიიღებს, საპროცენტო სარგებლის (როგორც მიუღებელი სარგებლის) დარიცხვა გრძელდება და გადახდას ექვემდებარება გადახდილი აკრედიტივის თანხის დაფარვის ვადაგადაცილების შემთხვევაშიც, მიუხედავად ხელშეკრულების (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ის) ან/და აკრედიტივის ხელშეკრულების მოქმედებისა ან სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტისა, გადახდილი აკრედიტივის თანხის იძულებითი ან კლიენტის მიერ ნებაყოფლობითი დაფარვის მომენტამდე.
- 2.2.3. პირგასამტეხლო (ჯარიმა) აკრედიტივით სარგებლობის პირობების დარღვევისათვის და მისი დარიცხვის წესი
- 2.2.3.1. პირგასამტეხლოს ოდენობა აკრედიტივით სარგებლობის პირობების დარღვევისათვის განისაზღვრება ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით) ან/და აკრედიტივის ხელშეკრულებით.
- 2.2.3.2. თუ ბანკი სხვაგვარ გადაწყვეტილებას არ მიიღებს, კლიენტი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო შემდეგ შემთხვევებში:
- 2.2.3.2.1. რომელიმე საკომისიოს დადგენილი ოდენობით და ვადებში გადაუხდელობისათვის;
- 2.2.3.2.2. გადახდილი აკრედიტივის თანხის ან/და მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით) ან/და აკრედიტივის ხელშეკრულებით დადგენილი ოდენობით და ვადებში გადაუხდელობისათვის;
- 2.2.3.2.3. ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით) ან/და აკრედიტივის ხელშეკრულებით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

- 2.2.3.3. თუ ბანკი სხვაგვარ გადაწყვეტილებას არ მიიღებს, პირგასამტეხლოს დარიცხვა გრძელდება და გადახდას ექვემდებარება მიუხედავად ხელშეკრულების (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ის) ან/და აკრედიტივის ხელშეკრულების მოქმედებისა ან შეწყვეტისა, ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით) ან/და აკრედიტივის ხელშეკრულებით გათვალისწინებული დავალიანების იძულებითი ან კლიენტის მიერ ნებაყოფლობითი დაფარვის მომენტამდე.
- 2.2.3.4. ხელშეკრულებაზე (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ზე) ან/და აკრედიტივის ხელშეკრულების დადებით/ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს/დაადასტურებს, რომ ის აცნობიერებს და ეთანხმება ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით) ან/და აკრედიტივის ხელშეკრულებით დადგენილი პირგასამტეხლოს არსებობას და მის ოდენობას და რომ ის არ არის შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო.
- 2.2.3.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს კლიენტს ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით) ან/და აკრედიტივის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების (გადასახდლების) შესრულებისაგან (გადახდისაგან).
- 2.2.4. აკრედიტივის თანხის, საპროცენტო სარგებლის, საკომისიოს, პირგასამტეხლოს (ჯარიმის) და სხვა გადასახდლების გადახდის წესი
- 2.2.4.1. კლიენტი ცალსახად და გამოუთხოვადად აცხადებს თანხმობას აკრედიტივის თანხის, საპროცენტო სარგებლის, საკომისიოს, პირგასამტეხლოს და სხვა გადასახდლების გადახდის შემდეგ თანმიმდევრობაზე: პირველ რიგში იფარება პირგასამტეხლო (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შემდეგ საკომისიო (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შემდეგ დარიცხული საპროცენტო სარგებელი, შემდეგ გადახდილი აკრედიტივის თანხა და ბოლოს სხვა გადასახდლები. აღნიშნული რიგითობა შეიძლება შეიცვალოს ბანკის შეხედულებით.
- 2.2.4.2. აკრედიტივის თანხის, საპროცენტო სარგებლის, საკომისიოს ან/და პირგასამტეხლოს დაანგარიშება და გადახდა უნდა მოხდეს ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით) და აკრედიტივის ხელშეკრულებით დადგენილი წესით და მის შესაბამისად. ბანკის მიერ კლიენტზე შესაძლოა გაიცეს გრაფიკი, რომელიც წარმოადგენს საინფორმაციო ხასიათის დოკუმენტს, რომლის შესაბამისადაც კლიენტი მოახდენს გადახდილი აკრედიტივის თანხის ან/და საპროცენტო სარგებლის ან/და საკომისიოს გადახდას. კლიენტის მიერ ბანკის მიმართ წარდგენილი ზეპირი ან წერილობითი განცხადების საფუძველზე მხარეთა შეთანხმებით გადახდილი აკრედიტივის თანხა, საპროცენტო სარგებელი ან/და საკომისიო შეიძლება წინსწრებით დაიფაროს გრაფიკით გათვალისწინებულ ვადებზე ადრეც.
- 2.2.4.3. აკრედიტივის თანხის, საპროცენტო სარგებლის, საკომისიოს და პირგასამტეხლოს გადახდა უნდა განხორციელდეს იმავე ვალუტაში რა ვალუტაშიც დამტკიცებულია აკრედიტივი, ხოლო აღნიშნული მიზნით თანხის კონვერტაციის აუცილებლობის შემთხვევაში კონვერტაცია უნდა განხორციელდეს კლიენტის ხარჯზე კონვერტაციის თარიღისათვის ბანკში დაწესებული კომერციული კურსით ან კლიენტთან შეთანხმებული კურსით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- 2.2.4.4. კლიენტის მიერ გადახდილი ნებისმიერი თანხა ჩაითვლება ჯეროვნად შესრულებულ ვალდებულებად, თუ ისინი გადახდილია ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით) ან/და აკრედიტივის ხელშეკრულებით დადგენილ თარიღში, ხოლო თუ ეს თარიღი ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, მაშინ გადახდა უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს მომდევნო საბანკო დღისა. ამასთან, თუ ამგვარი მომდევნო საბანკო დღე არის (ემთხვევა) საანგარიშო თვის მომდევნო თვეში, მაშინ გადახდა უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს აკრედიტივის ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდის თარიღის წინა საბანკო დღეს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, კლიენტი არ იხდის პირგასამტეხლოს გადასახდელის ვადამდე გადახდისათვის.
- 2.2.4.5. კლიენტი ასევე ადასტურებს და აცხადებს თანხმობას ბანკის სრულ უფლებამოსილებაზე, კლიენტის მიერ ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით) ან/და აკრედიტივის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად ან/და ამგვარი ვალდებულების სრულად ან ჯეროვნად შეუსრულებლობის შემთხვევაში:
- 2.2.4.5.1. კლიენტის შემდგომი დამატებითი თანხმობის ან აქცეპტის გარეშე მასთან არსებული წესების დაცვით გახსნას აკრედიტივის მომსახურე ანგარიში ან/და აკრედიტივის მომსახურე ანგარიშად გამოიყენოს კლიენტის ნებისმიერი სხვა არსებული ანგარიში;
- 2.2.4.5.2. კლიენტის ნებისმიერი სახის ანგარიშიდან უაქცეპტოდ ჩამოწეროს ხელშეკრულებით (მათ

- შორის **გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით** ან/და **აკრედიტივის ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ყველა გადასახდელი, ხოლო თუ გადასახდელი და **ანგარიშზე** რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, **ბანკი** უფლებამოსილია თავად განახორციელოს კონვერტაცია გადახდის თარიღისათვის **ბანკში** მოქმედი კომერციული კურსით ან **კლიენტთან** შეთანხმებული კურსით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ხოლო კონვერტაციის მომსახურების ღირებულება ასევე უაქცეპტოდ ჩამოწეროს **კლიენტის ანგარიშიდან**, კონვერტირებული თანხა კი მიმართოს შესაბამისი გადასახდელის დასაფარად;
- 2.2.4.5.3. ისარგებლოს **ხელშეკრულებით** (მათ შორის **გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით**) ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით** (მათ შორის **აკრედიტივის ხელშეკრულებით**) დადგენილი სხვა უფლებებით.
- 2.2.4.6. **ხელშეკრულებით** (მათ შორის **გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით**) ან/და **აკრედიტივის ხელშეკრულებით** განსაზღვრული პრობების შესაბამისად, **კლიენტის** მიერ **ბანკის** წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულება **კლიენტის** მიერ შესაძლოა უზრუნველყოფილ იქნეს **ბანკისათვის** ფულადი სახსრების გადაცემით ან/და საკუთარი ფულადი სახსრების განკარგვის უფლების **ბანკის** სასარგებლოდ შეზღუდვით (ფულადი სახსრების ბლოკირება). აღნიშნულ შემთხვევაში, **ბანკს**, სხვა კრედიტორებთან შედარებით, წარმოეშობა უპირატესი უფლება, **კლიენტის** მიმართ წარმოშობილი მოთხოვნა **აკრედიტივის თანხის, საპროცენტო სარგებლის, საკომისიოს, პირგასამტეხლოს** და სხვა გადასახდელის ანაზღაურებაზე, პირველ რიგში, სრულად და ჯეროვნად დაიკმაყოფილოს ზემოხსენებული ფულადი სახსრებიდან.
- 2.2.5. **აკრედიტივის თანხის გადახდა რემიტენტისათვის**
- 2.2.5.1. **რემიტენტის** მიერ **ბანკისათვის აკრედიტივის თანხის** გადახდის მოთხოვნა წარდგენილ უნდა იქნას **აკრედიტივში** მითითებულ ადგილას **აკრედიტივით** გათვალისწინებული ფორმის და პრობების დაცვით, მათ შორის შესაძლებელია **SWIFT-ის** საშუალებით. ამასთან, **რემიტენტის** მოთხოვნას თან უნდა ერთვოდეს **აკრედიტივის დოკუმენტი** და მასთან დაკავშირებული ყველა საჭირო დოკუმენტ(ებ)ი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). **აკრედიტივის დოკუმენტი** და მასთან დაკავშირებული ყველა საჭირო დოკუმენტ(ებ)ი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესაძლებელია **ბანკს** გადაეცეს **აკრედიტივის თანხის** გადახდის შემდგომ.
- 2.2.5.2. **ბანკის** მიერ **აკრედიტივის თანხის** გადაცემის მოთხოვნის, **აკრედიტივის დოკუმენტის** და მასთან დაკავშირებული ყველა საჭირო დოკუმენტ(ებ)ის განხილვის ვადა შეადგენს შესაბამისი მოთხოვნის/დოკუმენტების **ბანკის** მიერ მიღებიდან 5 (ხუთ) **საბანკო დღეს**.
- 2.2.5.3. **ბანკი** უფლებამოსილია უარი უთხრას **რემიტენტს** მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, თუ ეს მოთხოვნა ან **აკრედიტივის დოკუმენტი** ან/და მასთან დაკავშირებული ყველა საჭირო დოკუმენტ(ებ)ი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ შეესაბამება **აკრედიტივის** პრობებს ან/და ისინი წარედგინა **ბანკს აკრედიტივით** განსაზღვრული ფორმის ან/და პრობების დარღვევით. ამასთან **ბანკი** პასუხს არ აგებს **რემიტენტის** მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების ნამდვილობაზე (აუთენტურობაზე). **ბანკმა** დაუყოვნებლივ, გონივრულ ვადაში, უნდა აცნობოს **რემიტენტს** მოთხოვნასთან დაკავშირებული ხარვეზის შესახებ, თუ **რემიტენტი** ვერ უზრუნველყოფს აღნიშნული ხარვეზის გამოსწორებას **ბანკი** უფლებამოსილია შესაბამისი დოკუმენტაცია დაუბრუნოს **რემიტენტს**.
- 2.2.5.4. **ბანკის** მიერ **რემიტენტის** მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე და **აკრედიტივის გადახდაზე** უარის თქმის შემთხვევაში **ბანკი** უფლებამოსილია მოითხოვოს **კლიენტისაგან** მის მიერ გაწეული ნებისმიერი ხარჯის ანაზღაურება მასზე დარიცხულ **საპროცენტო სარგებელთან** ერთად.
- 2.2.5.5. **ხელშეკრულებით** (მათ შორის **გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით**) ან/და **აკრედიტივის ხელშეკრულებით** გათვალისწინებული **ბანკის** ვალდებულება **რემიტენტის** მიმართ შემოიფარგლება იმ **აკრედიტივის თანხის** გადახდით, რომელზედაც გაიცა **აკრედიტივი**.
- 2.2.5.6. იმ შემთხვევაში, თუ **ბანკის** მიერ **რემიტენტის** მოთხოვნის საფუძველზე მოხდება **რემიტენტისათვის აკრედიტივის თანხის** გადახდა (სრულად ან ნაწილობრივ), **კლიენტს** წამოეშობა რეგრესული ანაზღაურების ვალდებულება **ბანკის** მიმართ, **ბანკის** მიერ გადახდილი **აკრედიტივის თანხის** პროპორციულად. ამასთან, **კლიენტის** მიერ **ბანკისათვის** გადასახდელ თანხას **ხელშეკრულების** (მათ შორის **გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ის**) ან/და **აკრედიტივის ხელშეკრულების** საფუძველზე და მისი პრობების შესაბამისად დაერიცხება **საპროცენტო სარგებელი ხელშეკრულებით** (მათ შორის **გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით**) ან/და **აკრედიტივის ხელშეკრულებით** დადგენილი ოდენობით.

- 2.2.5.7. ბანკი უფლებამოსილია კლიენტს გადასცეს აკრედიტივის დოკუმენტის და მასთან დაკავშირებული ყველა საჭირო დოკუმენტ(ებ)ი კლიენტის მიერ ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით) ან/და აკრედიტივის ხელშეკრულებით განსაზღვრული ყველა ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში.
- 2.2.5.8. აკრედიტივის თანხა გადახდილ უნდა იქნას იმ ვალუტაში რა ვალუტაც მითითებულია აკრედიტივში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ფორს-მაჟორული გარემოებებიდან გამომდინარე ბანკს არ შეუძლია მითითებულ ვალუტაში გადახდა ან/და როდესაც გადახდა მითითებულ ვალუტაში ეწინააღმდეგება კანონმდებლობას.
- 2.2.5.9. ბანკი უფლებამოსილია მოითხოვოს კლიენტისაგან რეგრესული ანაზღაურება ა) იმ ვალუტაში რა ვალუტაშიც რემიტენტისთვის გადახდილი იქნა აკრედიტივის თანხა ან ბ) იმ ვალუტაში რომელი ვალუტაც მითითებულია აკრედიტივში.
- 2.2.6. აკრედიტივით სარგებლობის დამატებითი პირობები
- 2.2.6.1. აკრედიტივის საფუძველზე წერილობით, ან ელექტორულად (SWIFT-ის საშუალებით) გაიცემა აკრედიტივის დავალება, რომელშიც აისახება აკრედიტივის პირობები და რომლის ერთი პირი გადაეცემა კლიენტს, ხოლო მეორე პირი ეგზავნება რემიტენტს, ან ასევე გადაეცემა კლიენტს რემიტენტისათვის წარსადგენად.
- 2.2.6.2. აკრედიტივის ძალაში შესვლა დამოკიდებულია აკრედიტივის დავალების გაცემაზე.
- 2.2.6.3. აკრედიტივიდან გამომდინარე რემიტენტის კუთვნილი მოთხოვნის უფლება ბანკის მიმართ რემიტენტმა შეიძლება სრულად ან ნაწილობრივ გადასცეს/გადასცენ მესამე პირს (შემდგომში – ახალი რემიტენტი) თუ ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით), აკრედიტივის ხელშეკრულებით ან/და თავად აკრედიტივის დავალებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
- 2.2.6.4. რემიტენტის მიერ ბანკისათვის აკრედიტივის გადახდის მოთხოვნით მიმართვისთანავე ბანკი უფლებამოსილია მასთან არსებული წესების დაცვით უაქცეპტოდ დაბლოკოს კლიენტის ნებისმიერი სახის ანგარიში.
- 2.2.6.5. აკრედიტივის გამოთხოვა ან აკრედიტივის გადახდაზე უარი ძალაში შედის აღნიშნულის თაობაზე რემიტენტის მიერ ბანკისაგან მიღებული წერილობითი შეტყობინების მიღების თარიღის დღეს ან შესაბამის წერილობით შეტყობინებაში მითითებულ დღეს.
- 2.3. Stand-by აკრედიტივი
- 2.3.1. Stand-by აკრედიტივის დავალების გაცემის წესი
- 2.3.1.1. განაცხადის წარდგენის საფუძველზე ბანკის ან/და მისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ Stand-by აკრედიტივის დამტკიცების საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში ბანკი და კლიენტი გააფორმებენ დამატებით ხელშეკრულებას („Stand-by აკრედიტივის ხელშეკრულება“), რომლითაც განისაზღვრება Stand-by აკრედიტივით სარგებლობის კონკრეტული პირობები.
- 2.3.1.2. Stand-by აკრედიტივით სარგებლობა მოხდება ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით) ან/და Stand-by აკრედიტივის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში (ვადებში), იმ პირობით, რომ დაკმაყოფილებული იქნება ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით) ან/და Stand-by აკრედიტივის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა ბანკისათვის მისაღები ფორმით.
- 2.3.1.3. ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად განაცხადოს უარი აკრედიტივით სარგებლობაზე ან/და Stand-by აკრედიტივის დავალების გაცემაზე, თუ 1 (ერთი) კალენდარული წლის განმავლობაში ან ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით) ან/და Stand-by აკრედიტივის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში და პირობებით კლიენტის მიერ არ იქნა მოთხოვნილი Stand-by აკრედიტივის დავალების გაცემა ან თუ კლიენტის მიერ მოხდა ხელშეკრულების (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ის), მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებების (მათ შორის Stand-by აკრედიტივის ხელშეკრულების) ან/და ბანკთან გაფორმებული სხვა ნებისმიერი ხელშეკრულებ(ებ)ის პირობების დარღვევა, ან/და ისარგებლოს ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით), მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით (მათ შორის Stand-by აკრედიტივის ხელშეკრულებით) ან/და ბანკთან გაფორმებული სხვა ნებისმიერი ხელშეკრულებ(ებ)ით გათვალისწინებული სხვა უფლებებით.
- 2.3.2. საპროცენტო სარგებელი, საკომისიო და მათი დაანგარიშებისა და დარიცხვის წესი
- 2.3.2.1. საპროცენტო სარგებლის ოდენობა და საკომისიოს მინიმალური და მაქსიმალური ოდენობა (ან/და ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით) განსაზღვრული სხვა ოდენობა/ფორმა) განისაზღვრება ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის

- ხელშეკრულების დანართი N4-ით), ხოლო კონკრეტულ Stand-by აკრედიტივზე საპროცენტო სარგებლის და საკომისიოს ოდენობის ასახვა მოხდება შესაბამის Stand-by აკრედიტივის ხელშეკრულებაში.
- 2.3.2.2. საპროცენტო სარგებელი იანგარიშება ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით) ან/და Stand-by აკრედიტივის ხელშეკრულებით დანართების ჩათვლით) განსაზღვრული Stand-by აკრედიტივის თანხის გადახდის თარიღის შემდგომი ფაქტიური დღეების შესაბამისად, წელიწადში 365 (სამას სამოცდახუთი) დღეზე გაანგარიშებით.
- 2.3.2.3. საკომისიოს ოდენობა იანგარიშება ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით) ან/და Stand-by აკრედიტივის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფორმითა და პერიოდულობით. მათ შორის, თუ გათვალისწინებულია წლიური საკომისიო, მაშინ მისი დაანგარიშება მოხდება საპროცენტო სარგებლის დაანგარიშებისათვის გათვალისწინებული წესით, ხოლო სხვა შემთხვევაში, ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით) ან/და Stand-by აკრედიტივის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა წესით.
- 2.3.2.4. თუ ბანკი სხვაგვარ გადაწყვეტილებას არ მიიღებს, საპროცენტო სარგებლის (როგორც მიუღებელი სარგებლის) დარიცხვა გრძელდება და გადახდას ექვემდებარება გადახდილი აკრედიტივის თანხის დაფარვის ვადაგადაცილების შემთხვევაშიც, მიუხედავად ხელშეკრულების (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ის) ან/და Stand-by აკრედიტივის ხელშეკრულების მოქმედებისა ან სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტისა, გადახდილი Stand-by აკრედიტივის თანხის იძულებითი ან კლიენტის მიერ ნებაყოფლობითი დაფარვის მომენტამდე.
- 2.3.3. პირგასამტეხლო (ჯარიმა) Stand-by აკრედიტივით სარგებლობის პრობების დარღვევისათვის და მისი დარიცხვის წესი
- 2.3.3.1. პირგასამტეხლოს ოდენობა Stand-by აკრედიტივით სარგებლობის პრობების დარღვევისათვის განისაზღვრება ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით) ან/და Stand-by აკრედიტივის ხელშეკრულებით.
- 2.3.3.2. თუ ბანკი სხვაგვარ გადაწყვეტილებას არ მიიღებს, კლიენტი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო შემდეგ შემთხვევებში:
- 2.3.3.2.1. რომელიმე საკომისიოს დადგენილი ოდენობით და ვადებში გადაუხდელობისათვის;
- 2.3.3.2.2. გადახდილი Stand-by აკრედიტივის თანხის ან/და მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით) ან/და Stand-by აკრედიტივის ხელშეკრულებით დადგენილი ოდენობით და ვადებში გადაუხდელობისათვის;
- 2.3.3.2.3. ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით) ან/და Stand-by აკრედიტივის ხელშეკრულებით დადგენილ სხვა შემთხვევებში.
- 2.3.3.3. თუ ბანკი სხვაგვარ გადაწყვეტილებას არ მიიღებს, პირგასამტეხლოს დარიცხვა გრძელდება და გადახდას ექვემდებარება მიუხედავად ხელშეკრულების (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ის) ან/და Stand-by აკრედიტივის ხელშეკრულების მოქმედებისა ან შეწყვეტისა, ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით) ან/და Stand-by აკრედიტივის ხელშეკრულებით გათვალისწინებული დავალიანების იძულებითი ან კლიენტის მიერ ნებაყოფლობითი დაფარვის მომენტამდე.
- 2.3.3.4. ხელშეკრულებაზე (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ზე) ან/და Stand-by აკრედიტივის ხელშეკრულების დადებით/ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს/დაადასტურებს, რომ ის აცნობიერებს და ეთანხმება ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით) ან/და Stand-by აკრედიტივის ხელშეკრულებით დადგენილი პირგასამტეხლოს არსებობას და მის ოდენობას და რომ ის არ არის შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო.
- 2.3.3.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს კლიენტს ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით) ან/და Stand-by აკრედიტივის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების (გადასახდელების) შესრულებისაგან (გადახდისაგან).
- 2.3.4. Stand-by აკრედიტივის თანხის, საპროცენტო სარგებლის, საკომისიოს, პირგასამტეხლოს (ჯარიმის) და სხვა გადასახდელების გადახდის წესი
- 2.3.4.1. კლიენტი ცალსახად და გამოუთხოვადად აცხადებს თანხმობას Stand-by აკრედიტივის თანხის, საპროცენტო სარგებლის, საკომისიოს, პირგასამტეხლოს და სხვა გადასახდელების გადახდის შემდეგ თანმიმდევრობაზე: პირველ რიგში იფარება პირგასამტეხლო (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შემდეგ საკომისიო (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შემდეგ დარიცხული საპროცენტო სარგებელი, შემდეგ

გადახდილი Stand-by აკრედიტივის თანხა და ბოლოს სხვა გადასახდელები. აღნიშნული რიგითობა შეიძლება შეიცვალოს ბანკის შეხედულებით.

2.3.4.2. Stand-by აკრედიტივის თანხის, საპროცენტო სარგებლის, საკომისიოს ან/და პირგასამტეხლოს დაანგარიშება და გადახდა უნდა მოხდეს ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით) დადგენილი წესით და მის შესაბამისად. ბანკის მიერ კლიენტზე შესაძლოა გაიცეს გრაფიკი, რომელიც წარმოადგენს საინფორმაციო ხასიათის დოკუმენტს, რომლის შესაბამისადაც კლიენტი მოახდენს გადახდილი Stand-by აკრედიტივის თანხის ანაზღაურებას, საპროცენტო სარგებლის ან/და საკომისიოს გადახდას. კლიენტის მიერ ბანკის მიმართ წარდგენილი ზეპირი ან წერილობითი განცხადების საფუძველზე მხარეთა შეთანხმებით გადახდილი Stand-by აკრედიტივის თანხა, საპროცენტო სარგებელი ან/და საკომისიო შეიძლება წინსწრებით დაიფაროს გრაფიკით გათვალისწინებულ ვადებზე ადრეც.

2.3.4.3. Stand-by აკრედიტივის თანხის, საპროცენტო სარგებლის, საკომისიოს და პირგასამტეხლოს გადახდა უნდა განხორციელდეს იმავე ვალუტაში რა ვალუტაშიც დამტკიცებულია Stand-by აკრედიტივი, ხოლო აღნიშნული მიზნით თანხის კონვერტაციის აუცილებლობის შემთხვევაში კონვერტაცია უნდა განხორციელდეს კლიენტის ხარჯზე კონვერტაციის თარიღისათვის ბანკში დაწესებული კომერციული კურსით ან კლიენტთან შეთანხმებული კურსით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

2.3.4.4. კლიენტის მიერ გადახდილი ნებისმიერი თანხა ჩაითვლება ჯეროვნად შესრულებულ ვალდებულებად, თუ ისინი გადახდილია ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით) ან/და Stand-by აკრედიტივის ხელშეკრულებით დადგენილ თარიღში, ხოლო თუ ეს თარიღი ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, მაშინ გადახდა უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს მომდევნო საბანკო დღისა. ამასთან, თუ ამგვარი მომდევნო საბანკო დღე არის (ემთხვევა) საანგარიშო თვის მომდევნო თვეში, მაშინ გადახდა უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს Stand-by აკრედიტივის ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდის თარიღის წინა საბანკო დღეს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, კლიენტი არ იხდის პირგასამტეხლოს გადასახდელის ვადამდე გადახდისათვის.

2.3.4.5. კლიენტი ასევე ადასტურებს და აცხადებს თანხმობას ბანკის სრულ უფლებამოსილებაზე, კლიენტის მიერ ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის

ხელშეკრულების დანართი N4-ით) ან/და Stand-by აკრედიტივის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად ან/და ამგვარი ვალდებულების სრულად ან ჯეროვნად შეუსრულებლობის შემთხვევაში:

2.3.4.5.1. კლიენტის შემდგომი დამატებითი თანხმობის ან აქცეპტის გარეშე მასთან არსებული წესების დაცვით გახსნას Stand-by აკრედიტივის მომსახურე ანგარიში ან/და Stand-by აკრედიტივის მომსახურე ანგარიშად გამოიყენოს კლიენტის ნებისმიერი სხვა არსებული ანგარიში;

2.3.4.5.2. კლიენტის ნებისმიერი სახის ანგარიშიდან უაქცეპტოდ ჩამოწეროს ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით) ან/და Stand-by აკრედიტივის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა გადასახდელი, ხოლო თუ გადასახდელი და ანგარიშზე რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, ბანკი უფლებამოსილია თავად განახორციელოს კონვერტაცია გადახდის თარიღისათვის ბანკში მოქმედი კომერციული კურსით ან კლიენტთან შეთანხმებული კურსით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ხოლო კონვერტაციის მომსახურების ღირებულება ასევე უაქცეპტოდ ჩამოწეროს კლიენტის ანგარიშიდან, კონვერტირებული თანხა კი მიმართოს შესაბამისი გადასახდელის დასაფარად;

2.3.4.5.3. ისარგებლოს ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით) ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით (მათ შორის Stand-by აკრედიტივის ხელშეკრულებით) დადგენილი სხვა უფლებებით.

2.3.4.6. ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით) ან/და Stand-by აკრედიტივის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, კლიენტის მიერ ბანკის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულება კლიენტის მიერ შესაძლოა უზრუნველყოფილ იქნეს ბანკისათვის ფულადი სახსრების გადაცემით ან/და საკუთარი ფულადი სახსრების განკარგვის უფლების ბანკის სასარგებლოდ შეზღუდვით (ფულადი სახსრების ბლოკირება). აღნიშნულ შემთხვევაში, ბანკს, სხვა კრედიტორებთან შედარებით, წარმოეშობა უპირატესი უფლება, კლიენტის მიმართ წარმოშობილი მოთხოვნა Stand-by აკრედიტივის თანხის, საპროცენტო სარგებლის, საკომისიოს, პირგასამტეხლოს და სხვა გადასახდელების ანაზღაურებაზე, პირველ რიგში, სრულად და ჯეროვნად დაიკმაყოფილოს ზემოხსენებული ფულადი სახსრებიდან.

2.3.5. Stand-by აკრედიტივის თანხის გადახდა რემიტენტისათვის

- 2.3.5.1. კლიენტის მიერ ბენეფიციარის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, რემიტენტი უფლებამოსილია მიმართოს ბანკს და მოითხოვოს Stand-by აკრედიტივის თანხის მისთვის გადახდა;
- 2.3.5.2. რემიტენტის მიერ ბანკისათვის Stand-by აკრედიტივის თანხის გადაცემის მოთხოვნით მიმართვისას მოთხოვნა წარდგენილ უნდა იქნას Stand-by აკრედიტივში მითითებულ ადგილას Stand-by აკრედიტივით გათვალისწინებული ფორმის და პრობების დაცვით, მათ შორის შესაძლებელია SWIFT-ის საშუალებით. ამასთან რემიტენტის მოთხოვნას თან უნდა ერთვოდეს Stand-by აკრედიტივით გათვალისწინებული ყველა საჭირო დოკუმენტ(ებ)ი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). Stand-by აკრედიტივით გათვალისწინებული ყველა საჭირო დოკუმენტ(ებ)ი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესაძლებელია ბანკს გადაეცეს Stand-by აკრედიტივის თანხის გადახდის შემდგომ.
- 2.3.5.3. ბანკის მიერ Stand-by აკრედიტივის თანხის გადახდის მოთხოვნის და მასთან დაკავშირებული ყველა საჭირო დოკუმენტ(ებ)ის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განხილვის ვადა შეადგენს 5 (ხუთ) საბანკო დღეს.
- 2.3.5.4. ბანკისათვის Stand-by აკრედიტივის თანხის გადახდის მოთხოვნით მიმართვისთანავე ბანკი უფლებამოსილია მასთან არსებული წესების დაცვით უაქცეპტოდ დაბლოკოს კლიენტის ნებისმიერი სახის ანგარიში.
- 2.3.5.5. ბანკი უფლებამოსილია უარი უთხრას რემიტენტს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, თუ ეს მოთხოვნა ან/და მასთან დაკავშირებული ყველა საჭირო დოკუმენტ(ებ)ი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ შეესაბამება Stand-by აკრედიტივის პრობებს ან/და ისინი წარედგინა ბანკს Stand-by აკრედიტივით განსაზღვრული ფორმის ან/და პრობების დარღვევით, ამასთან ბანკი პასუხს არ აგებს რემიტენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების ნამდვილობაზე (აუთენტურობაზე). ბანკმა დაუყოვნებლივ, გონივრულ ვადაში, უნდა აცნობოს რემიტენტს მოთხოვნასთან დაკავშირებული ხარვეზის შესახებ, თუ რემიტენტი ვერ უზრუნველყოფს აღნიშნული ხარვეზის გამოსწორებას ბანკი უფლებამოსილია შესაბამისი დოკუმენტაცია დაუბრუნოს რემიტენტს.
- 2.3.5.6. ბანკის მიერ რემიტენტის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე და Stand-by აკრედიტივის გადახდაზე უარის თქმის შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია მოითხოვოს კლიენტისაგან მის მიერ გაწეული ნებისმიერი ხარჯის ანაზღაურება მასზე დარიცხულ საპროცენტო სარგებელთან ერთად.
- 2.3.5.7. ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით) ან/და Stand-by აკრედიტივის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ბანკის ვალდებულება რემიტენტის მიმართ შემოიფარგლება იმ Stand-by აკრედიტივის თანხის გადახდით, რომელზედაც გაიცა Stand-by აკრედიტივი.
- 2.3.5.8. იმ შემთხვევაში, თუ ბანკის მიერ რემიტენტის მოთხოვნის საფუძველზე მოხდება რემიტენტისათვის Stand-by აკრედიტივის თანხის გადახდა (სრულად ან ნაწილობრივ), კლიენტს წამოეშობა რეგრესული ანაზღაურების ვალდებულება ბანკის მიმართ, ბანკის მიერ გადახდილი Stand-by აკრედიტივის თანხის პროპორციულად. ამასთან, კლიენტის მიერ ბანკისათვის გადასახდელ თანხას ხელშეკრულების (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ის) ან/და Stand-by აკრედიტივის ხელშეკრულების საფუძველზე და მისი პრობების შესაბამისად დაერიცხება საპროცენტო სარგებელი ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით) ან/და Stand-by აკრედიტივის ხელშეკრულებით დადგენილი ოდენობით.
- 2.3.5.9. ბანკი უფლებამოსილია კლიენტს გადასცეს ყველა საჭირო დოკუმენტ(ებ)ი კლიენტის მიერ ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით) ან/და Stand-by აკრედიტივის ხელშეკრულებით განსაზღვრული ყველა ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში.
- 2.3.5.10. Stand-by აკრედიტივის თანხა გადახდილ უნდა იქნას იმ ვალუტაში რა ვალუტაც მითითებულია Stand-by აკრედიტივში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ფორს-მაჟორული გარემოებებიდან გამომდინარე ბანკს არ შეუძლია მითითებულ ვალუტაში გადახდა ან/და როდესაც გადახდა მითითებულ ვალუტაში ეწინააღმდეგება კანონმდებლობას.
- 2.3.5.11. ბანკი უფლებამოსილია მოითხოვოს კლიენტისაგან რეგრესული ანაზღაურება ა) იმ ვალუტაში რა ვალუტაშიც რემიტენტისთვის გადახდილი იქნა Stand-by აკრედიტივის თანხა ან ბ) იმ ვალუტაში რომელი ვალუტაც მითითებულია Stand-by აკრედიტივში.
- 2.3.6. Stand-by აკრედიტივით სარგებლობის დამატებითი პრობები
- 2.3.6.1. Stand-by აკრედიტივის საფუძველზე წერილობით, ან ელექტრონულად (SWIFT-ის საშუალებით) გაიცემა Stand-by აკრედიტივის დავალება, რომელშიც აისახება Stand-by აკრედიტივის პრობები და რომლის ერთი პირი გადაეცემა კლიენტს, ხოლო მეორე პირი ეგზავნება რემიტენტს, ან ასევე გადაეცემა კლიენტს რემიტენტისათვის წარსადგენად.

- 2.3.6.2. **Stand-by აკრედიტივის** ძალაში შესვლა დამოკიდებულია **Stand-by აკრედიტივის დავალების** გაცემაზე და **Stand-by აკრედიტივის დავალება** არ შეიძლება გამოთხოვილ იქნეს **ბანკის** მიერ, თუ **ხელშეკრულებით** (მათ შორის **გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით**), **Stand-by აკრედიტივის ხელშეკრულებით**, **კანონმდებლობით** ან/და თავად **Stand-by აკრედიტივის დავალებით** სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
- 2.3.6.3. **Stand-by აკრედიტივიდან** გამომდინარე **რემიტენტის** კუთვნილი მოთხოვნის უფლება **ბანკის** მიმართ **რემიტენტმა** შეიძლება სრულად ან ნაწილობრივ გადასცეს/გადასცენ **მესამე პირს** (შემდგომში – **ახალი რემიტენტი**) თუ **ხელშეკრულებით** (მათ შორის **გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით**), **Stand-by აკრედიტივის ხელშეკრულებით** ან/და თავად **Stand-by აკრედიტივის დავალებით** სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
- 2.3.6.4. **რემიტენტის** მიერ **ბანკისათვის Stand-by აკრედიტივის გადახდის** მოთხოვნით მიმართვისთანავე **ბანკი** უფლებამოსილია მასთან არსებული წესების დაცვით უაქცეპტოდ დაბლოკოს **კლიენტის** ნებისმიერი სახის **ანგარიში**.
- 2.3.6.5. **Stand-by აკრედიტივის** გამოთხოვა ან **Stand-by აკრედიტივის გადახდაზე** უარი ძალაში შედის აღნიშნულის თაობაზე **რემიტენტის** მიერ **ბანკისაგან** მიღებული წერილობითი შეტყობინების მიღების თარიღის დღეს ან შესაბამის წერილობით შეტყობინებაში მითითებულ დღეს.
- 2.4. **ინკასო**
- 2.4.1. **საინკასო დავალების** გაცემის წესი
- 2.4.1.1. **განაცხადის** წარდგენის საფუძველზე **ბანკის** უფლებამოსილი ორგანოს მიერ **ინკასოს** დამტკიცების საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში **ბანკი** და **კლიენტი** გააფორმებენ დამატებით ხელშეკრულებას („**ინკასოს ხელშეკრულება**“), რომლითაც განისაზღვრება **ინკასოთი** სარგებლობის კონკრეტული პირობები.
- 2.4.1.2. **ინკასოთი** სარგებლობა მოხდება **ხელშეკრულებით** (მათ შორის **გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით**) ან/და **ინკასოს ხელშეკრულებით** გათვალისწინებულ ვადაში (ვადებში), იმ პირობით, რომ დაკმაყოფილებული იქნება **ხელშეკრულებით** (მათ შორის **გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით**) ან/და **ინკასოს ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ყველა პირობა **ბანკისათვის** მისაღები ფორმით.

- 2.4.1.3. **ბანკი** უფლებამოსილია ცალმხრივად განაცხადოს უარი **ინკასოთი** სარგებლობაზე ან/და **საინკასო დავალების** გაცემაზე, თუ 1 (ერთი) კალენდარული წლის განმავლობაში ან **ხელშეკრულებით** (მათ შორის **გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით**) ან/და **ინკასოს ხელშეკრულებით** გათვალისწინებულ ვადებში და პირობებით **კლიენტის** მიერ არ იქნა მოთხოვნილი **საინკასო დავალების** გაცემა ან თუ **კლიენტის** მიერ მოხდა **ხელშეკრულების** (მათ შორის **გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ის**), მასთან **დაკავშირებული** სხვა **ხელშეკრულების** (მათ შორის **ინკასოს ხელშეკრულების**) ან/და **ბანკთან** გაფორმებული სხვა ნებისმიერი ხელშეკრულებ(ებ)ის პირობების დარღვევა, ან/და ისარგებლოს **ხელშეკრულებით** (მათ შორის **გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით**), მასთან **დაკავშირებული** სხვა **ხელშეკრულებით** (მათ შორის **ინკასოს ხელშეკრულებით**) ან/და **ბანკთან** გაფორმებული სხვა ნებისმიერი ხელშეკრულებ(ებ)ით გათვალისწინებული სხვა უფლებებით.
- 2.4.2. **საკომისიოს დაანგარიშებისა და დარიცხვის წესი**
- 2.4.2.1. **საკომისიოს** მინიმალური და მაქსიმალური ოდენობა (ან/და **ხელშეკრულებით** (მათ შორის **გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით**) განსაზღვრული სხვა ოდენობა/ფორმა) განისაზღვრება **ხელშეკრულებით** (მათ შორის **გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით**), ხოლო კონკრეტულ **ინკასოზე** **საკომისიოს** ოდენობის ასახვა მოხდება შესაბამის **ინკასოს ხელშეკრულებაში**.
- 2.4.2.2. **საკომისიოს** ოდენობა განისაზღვრება ერთჯერადი გადასახდელი სახით და განისაზღვრება **ხელშეკრულებით** (მათ შორის **გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით**) ან/და **ინკასოს ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ფორმითა და პერიოდულობით. მათ შორის, თუ გათვალისწინებულია წლიური **საკომისიო**, მაშინ მისი დაანგარიშება მოხდება წელიწადში 365 (სამას სამოცდახუთ) დღეზე გაანგარიშებით.
- 2.4.3. **პირგასამტეხლო (ჯარიმა) ინკასოთი სარგებლობის პირობების დარღვევისათვის და მისი დარიცხვის წესი**
- 2.4.3.1. **პირგასამტეხლოს** ოდენობა **ინკასოთი** სარგებლობის პირობების დარღვევისათვის განისაზღვრება **ხელშეკრულებით** (მათ შორის **გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით**) ან/და **ინკასოს ხელშეკრულებით**.

- 2.4.3.2. თუ **ბანკი** სხვაგვარ გადაწყვეტილებას არ მიიღებს, **კლიენტი** ვალდებულია გადაიხადოს **პირგასამტეხლო** შემდეგ შემთხვევებში:
- 2.4.3.2.1. რომელიმე **საკომისიოს** დადგენილი ოდენობით და ვადებში გადაუხდელობისათვის;
- 2.4.3.2.2. **ხელშეკრულებით** (მათ შორის **გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით**) ან/და **ინკასოს ხელშეკრულებით** დადგენილ სხვა შემთხვევებში.
- 2.4.3.3. თუ **ბანკი** სხვაგვარ გადაწყვეტილებას არ მიიღებს, **პირგასამტეხლოს** დარიცხვა გრძელდება და გადახდას ექვემდებარება მიუხედავად **ხელშეკრულების** (მათ შორის **გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ის**) ან/და **ინკასოს ხელშეკრულების** მოქმედებისა ან შეწყვეტისა, **ხელშეკრულებით** (მათ შორის **გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით**) ან/და **ინკასოს ხელშეკრულებით** გათვალისწინებული დავალიანების იძულებითი ან **კლიენტის** მიერ ნებაცოფლობითი დაფარვის მომენტამდე.
- 2.4.3.4. **ხელშეკრულებაზე** (მათ შორის **გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით**) ან/და **ინკასოს ხელშეკრულების** დადებით/ხელმოწერით **კლიენტი** ადასტურებს/დაადასტურებს, რომ ის აცნობიერებს და ეთანხმება **ხელშეკრულებით** (მათ შორის **გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით**) ან/და **ინკასოს ხელშეკრულებით** დადგენილი **პირგასამტეხლოს** არსებობას და მის ოდენობას და რომ ის არ არის შეუსაბამოდ მაღალი **პირგასამტეხლო**.
- 2.4.3.5. **პირგასამტეხლოს** გადახდა არ ათავისუფლებს **კლიენტს ხელშეკრულებით** (მათ შორის **გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით**) ან/და **ინკასოს ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების (გადასახდელების) შესრულებისაგან (გადახდისაგან).
- 2.4.4. **საკომისიოს, პირგასამტეხლოს (ჯარიმის) და სხვა გადასახდელების გადახდის წესი**
- 2.4.4.1. **კლიენტი** ცალსახად და გამოუთხოვადად აცხადებს თანხმობას **საკომისიოს, პირგასამტეხლოს** და სხვა გადასახდელების გადახდის შემდეგ თანმიმდევრობაზე: პირველ რიგში იფარება **პირგასამტეხლო** (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შემდეგ **საკომისიო** (ასეთის არსებობის შემთხვევაში), და ბოლოს სხვა გადასახდელები. აღნიშნული რიგითობა შეიძლება შეიცვალოს **ბანკის** შეხედულებით.
- 2.4.4.2. **პირგასამტეხლოს** და **საკომისიოს** დაანგარიშება და გადახდა უნდა მოხდეს **ხელშეკრულებით** (მათ შორის **გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით**) და **ინკასოს ხელშეკრულებით** დადგენილი წესით და მის შესაბამისად. **ბანკის** მიერ **კლიენტზე** შესაძლოა გაიცეს **გრაფიკი**, რომელიც წარმოადგენს საინფორმაციო ხასიათის დოკუმენტს, რომლის შესაბამისადაც **კლიენტი** მოახდენს **საკომისიოს** გადახდას. **კლიენტის** მიერ **ბანკის** მიმართ წარდგენილი ზეპირი ან წერილობითი განცხადების საფუძველზე **მხარეთა** შეთანხმებით **საკომისიო** შეიძლება წინსწრებით დაიფაროს **გრაფიკით** გათვალისწინებულ ვადებზე ადრეც.
- 2.4.4.3. **საკომისიო** და **პირგასამტეხლოს** გადახდა უნდა განხორციელდეს იმავე ვალუტაში რა ვალუტაშიცაა **ინკასოს თანხა**, ხოლო აღნიშნული მიზნით თანხის კონვერტაციის აუცილებლობის შემთხვევაში კონვერტაცია უნდა განხორციელდეს **კლიენტის** ხარჯზე კონვერტაციის თარიღისათვის **ბაკში** დაწესებული კომერციული კურსით ან **კლიენტთან** შეთანხმებული კურსით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- 2.4.4.4. **კლიენტის** მიერ გადახდილი ნებისმიერი თანხა ჩაითვლება ჯეროვნად შესრულებულ ვალდებულებად, თუ ისინი გადახდილია **ხელშეკრულებით** (მათ შორის **გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით**) ან/და **ინკასოს ხელშეკრულებით** დადგენილ თარიღში, ხოლო თუ ეს თარიღი ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, მაშინ გადახდა უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს მომდევნო **საბანკო დღისა**. ამასთან, თუ ამგვარი მომდევნო **საბანკო დღე** არის (ემთხვევა) საანგარიშო თვის მომდევნო თვეში, მაშინ გადახდა უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს **ინკასოს ხელშეკრულებით** გათვალისწინებული გადახდის თარიღის წინა **საბანკო დღეს**. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, **კლიენტი** არ იხდის **პირგასამტეხლოს** გადასახდელის ვადამდე გადახდისათვის.
- 2.4.4.5. **კლიენტი** ასევე ადასტურებს და აცხადებს თანხმობას **ბანკის** სრულ უფლებამოსილებაზე, **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულებით** (მათ შორის **გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით**) და **ინკასოს ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად ან/და ამგვარი ვალდებულების სრულად ან ჯეროვნად შესრულებლობის შემთხვევაში:
- 2.4.4.5.1. **კლიენტის** შემდგომი დამატებითი თანხმობის ან აქცეპტის გარეშე მასთან არსებული წესების დაცვით გახსნას **ინკასოს მომსახურე ანგარიში** ან/და **ინკასოს მომსახურე ანგარიშად** გამოიყენოს **კლიენტის** ნებისმიერი სხვა არსებული **ანგარიში**;
- 2.4.4.5.2. **კლიენტის** ნებისმიერი სახის **ანგარიშიდან** უაქცეპტოდ ჩამოწეროს **ხელშეკრულებით** (მათ შორის **გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით**) ან/და **ინკასოს ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ყველა გადასახდელი, ხოლო თუ გადასახდელი და

- ანგარიშზე რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, **ბანკი** უფლებამოსილია თავად განახორციელოს კონვერტაცია გადახდის თარიღისათვის **ბანკში** მოქმედი კომერციული კურსით ან **კლიენტთან** შეთანხმებული კურსით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ხოლო კონვერტაციის მომსახურების ღირებულება ასევე უაქცეპტოდ ჩამოწეროს **კლიენტის ანგარიშიდან**, კონვერტირებული თანხა კი მიმართოს შესაბამისი გადასახდელის დასაფარად;
- 2.4.4.5.3. ისარგებლოს **ხელშეკრულებით** (მათ შორის **გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4**-ით) ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით** (მათ შორის, **ინკასოს ხელშეკრულებით**) დადგენილი სხვა უფლებებით.
- 2.4.5. **ინკასოთი** სარგებლობის სხვა პირობები
- 2.4.5.1. **ინკასოს** საფუძველზე წერილობით, ან ელექტორულად (**SWIFT**-ის საშუალებით) გაიცემა **საინკასო დავალება**, რომელშიც აისახება **ინკასოს** პირობები და რომლის ერთი პირი გადაეცემა **კლიენტს**, ხოლო მეორე პირი ეგზავნება **მიმღებს**, ან ასევე გადაეცემა **კლიენტს მიმღებისათვის** წარსადგენად.
- 2.4.5.2. **ინკასოს** ძალაში შესვლა დამოკიდებულია **საინკასო დავალების** გადაცემაზე და **საინკასო დავალება** არ შეიძლება გამოთხოვილ იქნეს **ბანკის** მიერ, თუ **ხელშეკრულებით** (მათ შორის **გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4**-ით), **ინკასოს ხელშეკრულებით**, **კანონმდებლობით** ან/და თავად **საინკასო დავალებით** სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
- 2.4.5.3. **ინკასოდან** გამომდინარე **მიმღების** კუთვნილი მოთხოვნის უფლება **ბანკის** მიმართ **მიმღებმა** შეიძლება სრულად ან ნაწილობრივ გადასცეს/გადასცენ **მესამე პირს** (შემდგომში – **ახალი მიმღები**) თუ **ხელშეკრულებით** (მათ შორის **გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4**-ით), **ინკასოს ხელშეკრულებით** ან/და თავად **ინკასოს დავალებით** სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
- 2.4.5.4. **მიმღების** მიერ **ბანკისათვის** **ინკასოს** გადახდის მოთხოვნით მიმართვისთანავე **ბანკი** უფლებამოსილია მასთან არსებული წესების დაცვით უაქცეპტოდ დაბლოკოს **კლიენტის** ნებისმიერი სახის **ანგარიში**.
- 2.4.5.5. **ინკასოს** გამოთხოვა ან **ინკასოს გადახდაზე** უარი ძალაში შედის აღნიშნულის თაობაზე **მიმღების** მიერ **ბანკისაგან** მიღებული წერილობითი შეტყობინების მიღების თარიღის დღეს ან შესაბამის წერილობით შეტყობინებაში მითითებულ დღეს.
3. **ფორს-მაჟორი**
- 3.1. **ფორს-მაჟორის** მოქმედების განმავლობაში **ბანკი** არ აგებს პასუხს **დოკუმენტალური ოპერაციების წარმოების პირობებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის.
- 3.2. **ფორს-მაჟორული** გარემოების დადგომის შემთხვევაში **მხარეები** იხელმძღვანელებენ **ICC უნიფიცირებული წესების** რეგულაციებით.
4. **დოკუმენტალური ოპერაციების წარმოების მოქმედება და შეწყვეტა**
- 4.1. **კლიენტი** უფლებამოსილია შეწყვიტოს **ხელშეკრულება** (მათ შორის **გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4**-ი) ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულება** **დოკუმენტალური ოპერაციების** მოქმედების ვადის ამოწურვამდე, იმ პირობით, რომ **კლიენტს** არ გააჩნია **ხელშეკრულებიდან** (მათ შორის **გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4**-იდან) ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებიდან** გამომდინარე რაიმე სახის შეუსრულებელი/შესასრულებელი ვალდებულება **ბანკის** მიმართ.
- 4.2. **ხელშეკრულების** (მათ შორის **გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4**-ის) ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** ვადამდე სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტა არ იწვევს შესაბამისი **დოკუმენტალური ოპერაციის** შეწყვეტას/გამოთხოვას.
5. **დოკუმენტალური ოპერაციების წარმოების პირობების მოქმედება**
- ბენეფიციარების/მიმღების მიმართ**
- 5.1. თუ **საბანკო გარანტიის, აკრედიტივის, Stand-by აკრედიტივის** ან/და **ინკასოს ბენეფიციარი/მიმღები** ერთზე მეტი პირია და შესაბამისი **საბანკო გარანტიის, აკრედიტივის, stand-by აკრედიტივის** ან/და **ინკასოს ხელშეკრულებებით** ან/და **საგარანტიო ფურცლით, აკრედიტივის დავალებით, Stand-by აკრედიტივის დავალებით** ან/და **ინკასოს დავალებით** სხვა რამ არ არის გათვალისწინებული:
- 5.1.1. **ბანკი** უფლებამოსილია თავისი შეხედულებისამებრ ვალდებულება (**საგარანტიო თანხის, აკრედიტივის თანხის** ან/და **Stand-by აკრედიტივის თანხის** გადახდა) სრულად ან ნაწილობრივ შეასრულოს ნებისმიერი **ბენეფიციარის** წინაშე;
- 5.1.2. თუ **ბანკი** ერთდროულად (ერთი **საბანკო დღის** განმავლობაში) მიიღებს ორი ან მეტი **ბენეფიციარის** მოთხოვნას **საგარანტიო თანხის, აკრედიტივის თანხის** ან/და **Stand-by აკრედიტივის თანხის** ანაზღაურებაზე: ა)

თითოეულ ასეთ (მოთხოვნის წარმდგენ) ბენეფიციარს აუნაზღაურდება საგარანტიო თანხა, აკრედიტივის თანხა ან/და Stand-by აკრედიტივის თანხა მისი მოთხოვნის შესაბამისად; ან ბ) ბენეფიციარების მოთხოვნა დაკმაყოფილდება საგარანტიო თანხიდან, აკრედიტივის თანხიდან ან/და Stand-by აკრედიტივის თანხიდან, მოთხოვნილი თანხის პროპორციულად თუ საგარანტიო თანხის, აკრედიტივის თანხის ან/და Stand-by აკრედიტივის თანხის ოდენობა ნაკლებია წარმოდგენილი მოთხოვნის თანხაზე. ამასთან, აღნიშნული დათქმა არ ართმევს ბანკს უფლებას, თავისი შეხედულებისამებრ განსაზღვროს შესაბამისი ბენეფიციარისთვის გადასახდელი თანხის ოდენობა;

5.1.3. თუ რომელიმე ბენეფიციარის მიმართვის საფუძველზე მოთხოვნილია საგარანტიო თანხის, აკრედიტივის თანხის ან/და Stand-by აკრედიტივის თანხის შემცირება, ამ ქვეპუნქტის მიზნებისთვის აღნიშნული ბენეფიციარი განხილულ იქნება ბანკის მიმართ მოთხოვნის უფლების თანაბარი წილის მესაკუთრედ სხვა ბენეფიციარებთან ერთად და საგარანტიო თანხა, აკრედიტივის თანხა ან/და Stand-by აკრედიტივის თანხა შემცირდება აღნიშნული ბენეფიციარის მიმართვის შესაბამისად, მაქსიმუმ მისი მოთხოვნის წილის ფარგლებში;

5.1.4. ბანკი უფლებამოსილია ინკასოს დოკუმენტის გადაცემის ვალდებულება თავისი შეხედულებისამებრ სრულად ან ნაწილობრივ შესრულოს ნებისმიერი მიმღების წინაშე.

5.2. ბანკის მიერ ერთ-ერთი ბენეფიციარისათვის/მიმღებისათვის გაგზავნილი ნებისმიერი სახის შეტყობინება ჩაითვლება ყველა ბენეფიციარისათვის/მიმღებისათვის გაგზავნილ შეტყობინებად, ხოლო ერთ-ერთი ბენეფიციარის/მიმღების მიერ შეტყობინების მიღება ყველა ბენეფიციარის/მიმღების მიერ შესაბამისი შეტყობინების მიღებად.

5.3. ერთ-ერთი ბენეფიციარის/მიმღების წინაშე ბანკის მიერ ვალდებულების სრულად ან ნაწილობრივ შესრულება ათავისუფლებს ბანკს სხვა ბენეფიციარის/მიმღების წინაშე ამავე ვალდებულების შესრულებისაგან.

6. სხვა პირობები

6.1. კლიენტი ვალდებულია ბენეფიციართან/მიმღებთან ყველა სახის ანგარიშსწორება აწარმოოს ბანკში გახსნილი ანგარიშის გამოყენებით.

6.2. იმ შემთხვევაში თუ აკრედიტივის/Stand-by აკრედიტივის ხელშეკრულება ითვალისწინებს ტოლერანსის არსებობას კლიენტის მიერ ბანკისათვის ასანაზღაურებელი ნებისმიერი

გადასახდელის (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად საკომისიო, პირგასამტეხლო) ოდენობის დაანგარიშებისათვის, რომელიც გამოითვლება შესაბამისად აკრედიტივის/Stand-by აკრედიტივის თანხიდან, აკრედიტივის/Stand-by აკრედიტივის თანხად ჩაითვლება შესაბამისად აკრედიტივის/Stand-by აკრედიტივის თანხა და ტოლერანსით გათვალისწინებული სავარაუდო ნამეტი ოდენობა ერთობლივად.

6.3. კლიენტი ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში, ამავე მოთხოვნით გათვალისწინებულ ვადაში, ვალდებულია უზრუნველყოს ბანკისათვის ყველა იმ საკომისიოს, პირგასამტეხლოს ან/და გადასახდელის ანაზღაურება, რომელიც შეიძლება დაეკისროს ბანკს, მათ შორის კლიენტის ბენეფიციარის (საბოლოო ბენეფიციარის)/მიმღების მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. ასევე კლიენტი ვალდებულია უზრუნველყოს ყველა იმ საკომისიოს, პირგასამტეხლოს ან/და გადასახდელის ანაზღაურება, რომლის ბანკისათვის გადახდასაც დადგენილ ვადაში არ უზრუნველყოფს ბენეფიციარი/მიმღები. კლიენტის მიერ ამ პუნქტით გათვალისწინებული გადასახდელების გადახდის ვადა განისაზღვრება ბანკის მოთხოვნის შესაბამისად

6.4. დოკუმენტალური ოპერაციების წარმოების პირობები განიმარტება და რეგულირდება კანონმდებლობით და ICC-ს უნიფიცირებული წესებით, საგარანტიო ფურცლის/აკრედიტივის დავალების/Stand-by აკრედიტივის დავალების/საინკასო დავალების შესაბამისად. იმ შემთხვევაში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით (მათ შორის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N4-ით) ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით, მხარეები იხელმძღვანელებენ კანონმდებლობით და ICC-ს უნიფიცირებული წესებით დადგენილი შესაბამისი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმებით, ხოლო კანონმდებლობასა და ICC-ს უნიფიცირებულ წესებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება კანონმდებლობას..

6.5. თუ ხელშეკრულებით, მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით ან/და წინამდებარე დანართით განსაზღვრული რეგულაციები არ შეესაბამება ან ეწინააღმდეგება ბანკს და რემიტენტს/ბენეფიციარს შორის შეთანხმებულ რეგულაციებს, ამ შემთხვევაში მხარეები იხელმძღვანელებენ ბანკს და რემიტენტს/ბენეფიციარს შორის შეთანხმებული რეგულაციებით.

